# პ·ი·ო·ნ·ე·რ·ი

140
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



8
აგვისტო
1958

# გმირები არ კვდებიან





ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის ქალაქ შეპეტოვკაში ცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი. მას თქვენსავით უყვარდა სირბილი, თამაში და, როგორც ყველა ბავშვი, ისიც გმირობაზე ოცნებობდა. მაგრამ მას სხვა ოცნებაც ჰქონდა, უნდოდა ჰქონოდა ორთვლიანი ველოსიპედი და რა დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც კარგი სწავლისა და დამჯერე, შრომისმოყვარე და კეთილი ხასიათისათვის მამამ ოცნება აუსრულა: უყიდა ველოსიპედი. მაგრამ [illegible] დასცალდა მას ორთვლიან ცხენზე ნავარდი, დაიწყო ომი და ბიჭი იძულებული გახდა სულ სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

ეს ბიჭი ვალერი კოტიკი იყო.

ომის პირველ დღეებში მისი სიფხიზლის წყალობით შეპეტოვკის ტყეში ოთხი ფაშისტი დივერსანტი იქნა შეპყრობილი. როდესაც მშობლიური შეპეტოვკა მტერმა დაიკავა, საზრიანი და მამაცი ბავშვი კომუნისტებმა პარტიზანად წაიყვანეს. რა დავალებას არ ასრულებდა ვალერი: გადაჰქონდა ტყვია-წამალი, ავრცელებდა პროკლამაციებს. კოტიკმა სამჯერ დანაღმა რკინიგზა, სამჯერ გადაუშვა უფსკრულში [illegible] დატვირთული მტრის ეშელონი, დააზიანა ტელეფონის კაბელი; ერთხელ ვალერიმ ტყეში ოთხი ფრიცი შენიშნა, ისინი პარტიზანთა ბანაკს უახლოვდებოდნენ, ბიჭს კი საშუალება არ ჰქონდა თავისიანებისათვის შეეტყობინებინა, ახლოს მიუშვა გერმანელები და ყუმბარა ესროლა მათ. ოთხივე დახოცა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრა. გამომჯობინების შემდეგ იგი კვლავ რაზმს დაუბრუნდა და მალე ისევ მძიმედ დაიჭრა.

1944 წლის 11 თებერვალს ვალიას 14 წელი შეუსრულდა. ამ დღეს შეპეტოვკაც განთავისუფლებული იქნა მტრისაგან და პარტიზანული რაზმის უფროსი ვალიას თავის ქალაქში გაშვებას დაპირდა. მაგრამ ვერ მოესწრო იგი მშობლიურ ქალაქში განავარდებას, ნაცნობი ადგილების ხილვას. რაზმი სწრაფად გაიწვიეს დავალების შესასრულებლად და ვალიაც მათთან ერთად წავიდა. პარტიზანებმა დავალება შეასრულეს, მაგრამ ტყვიამ არ დაინდო სიცოცხლით სავსე, ყველასათვის საყვარელი ვალია. პარტიზანებმა გულმხურვალედ დაიტირეს გმირი პიონერი.

ჯერ კიდევ სიცოცხლეში მამაცმა პარტიზანმა ორი ჯილდო მიიღო: მედალი „სამამულო ომის პარტიზანი“ და „სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი“. ახლა ვალია კოტიკს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

შეპეტოვკაში, ქალაქის ბაღში, მარმარილოს კვარცხლბეკზე ავტომატით ხელში დგას პატარა პარტიზანის—ვალერი კოტიკის ბრინჯაოს ფიგურა. ყველა, ვინც კი იქ გაივლის, თავს ხრის გმირის წინაშე, რომელმაც პირნათლად შეასრულა პიონერის საზეიმო ფიცი.

მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი, რომ მხურვალედ მეყვარება ჩემი საბჭოთა სამშობლო. ვიცხოვრებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია.

სსრ კავშირის ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

7556

8

აგვისტო
1958



## შინაარსი

გმირები არ კვდებიან . . . . . გარეკანის 2
ბ. შელია, რ. თაგაური—სალამი რიგიდან (ნარკვევი) 2
როსტომ ელანიძე—ყაშა (მოთხრობა, დასასრული) 6
ნ. კილასონია—ზაფხული გურიანთაში (ნარკვევი) 13
ვ. გაბესკირია—მამა და შვილი (პოემა) . . . . 16
არაპ ყურბანოვი—ყაყაჩოები (მოთხრობა, თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ) . . . 18
შ. ციხისელი—საშემოდგომო გამოცდა (მოთხრობა) 20
ზ. ლეშკაშელი—ნიკო კეცხოველი (წერილი) . . 21
გ. ბასილია—ქიმია ცხოვრებაში (წერილი) . . . 22
ფრენც შანტა—ერთ საღამოს (მოთხრობა, თარგმნა ნ. სამუკაშვილმა) . . . . . 24
რა უფრო ძვირფასია (ოსური ზღაპარი, თარგმნა თ. ახალაიამ) 28
ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . . 29
გ. ვარდოსანიძე—გულმოდგინედ ემზადეთ რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის . 30
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . 32
იუმორი—(ინგლისურიდან თარგმნა მოსწავლე ვ. ჭკადუამ) . . 32
გასართობი . . . . . . . . . . . . . გარეკანის 3





გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის გ. გელოვანს. ჟურნალი დასურათებულია: დ. ხახუტაშვილის, კ. მახარაძის, გ. თოთიბაძის, ზ. ლეჟავას და ნ. შალიკაშვილის მიერ.



რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).



გამოცემის წელი
XXXII

საბლიტგამი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომკავშირის 40 წლისთავის შესახვედრად

# სალამი რიგიდან

ბ. შელია, რ. თამაური.

ფოტო ი. მღებრიშვილისა

თვალწარმტაცია საბჭოთა ლატვია, თეთრი არყის ხეებისა და ანკარა ნაკადულების მიწა.

თქმულებებითა და ლეგენდებითა მოცული ლატვიის უდიდესი მდინარე დაუგავა, რომლის ნაპირზეც გაშლილია ულამაზესი ქალაქი რიგა. ქალაქი—ბაღი ასე უწოდებენ მას, და სამართლიანადაც. ჯადოქარი დეკორატორის ხელით შექმნილ ერთ მთლიან ბაღს მოგვაგონებს იგი. და აი, ამ ქალაქს, სადაც ახლა ყველგან და ყველაფერში იგრძნობა სოციალისტური ყოფის მძლავრი მაჯისცემა, ერთ კუთხეში შთამომავლობისათვის სათუთად შემოუნახავს ბებერი კოშკები, გალავნები, სასახლეები, უძველესი მონასტრები, ჯვაროსანთა ორდენის ციხე-კოშკი, რომელიც ასობით საბჭოთა ბავშვის მხიარულ ურიამულს სიძველეთაგან გამოუტაცნია და მისი ჭაღარა კედლები უნაპირო სიხარულისა და ბედნიერების მოწამედ გაუხდია—დღეს აქ პიონერთა სასახლეა.

სწორედ ამ ზღაპრულ სასახლეში შეიკრიბნენ წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები, თავიანთ საქალაქო აქტივზე, მარტის ერთ მზიან დღეს. შეიკრიბნენ რიგის რჩეული პიონერები, რათა განეხილათ თბილისელ პიონერთა წერილი, რომლითაც ეს უკანასკნელნი რიგელებს მეგობრობას სთავაზობდნენ და თან სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ.

თბილისელი პიონერები სწერდნენ:

„ძვირფასო მეგობრებო, უთუოდ იცით, რომ ჩვენი დედები და მამები—თბილისისა და რიგის მშრომელები—სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ერთმანეთთან. როცა ამ შეჯიბრების მუხლებს გავეცანით, გადავწყვიტეთ გამოგვენახა ჩვენთვის შესაფერისი საქმე და დავხმარებოდით უფროსებს.

აი, რას გავაკეთებთ ჩვენ:

1. თბილისში ხისუფთავის დაცვის პიონერულ საგუშაგოთა რიცხვს 400-მდე გავზრდით.
2. ეზოებში დავრგავთ და გავხარებთ 3.000 ძირ ვაზს.
3. ეზოებში და ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებში დავრგავთ და გავხარებთ 10.000 ძირ ხესა და დეკორატიულ ბუჩქს.
4. გამოვზრდით 3.000 მტრედს.
5. შევაგროვებთ 250 ტონა ჯართს და 100 ტონა მაკულატურას.

ძვირფასო რიგელო მეგობრებო, გიწვევთ შეჯიბრებაში და მოუთმენლად ველით პასუხს“.

რიგელმა პიონერებმა, ცხადია, მიიღეს გამოწვევა და საპასუხო წერილიც გამოუგზავნეს თბილისელებს.

ასე დაიწყო რიგელ და თბილისელ პიონერთა მეგობრობა. ასე დაიწყო შეჯიბრება ორი ქალაქის ნორჩ პიონერებს შორის, მშობლიური ქალაქების კიდევ უფრო გალამაზებისა და გამშვენიერებისათვის.

რიგელი პიონერები წლის ბოლოსათვის ჩამოვლენ სტუმრად თბილისელ პიონერებთან და შეამოწმებენ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. გამარჯვებულიც მაშინ გამოირკვევა, მაგრამ თბილისელი პიონერებისათვის, ვფიქრობთ, ახლაც არ იქნება ინტერესს მოკლებული იცოდნენ დღეისათვის რა გააკეთეს მათმა რიგელმა თანატოლებმა. შეგროვებულია 560.000 ტონა ჯართი, 100 ტონამდე მაკულატურა, დარგულია ათასობით ძირი ხე. რიგელმა პიონერებმა გადაწყვიტეს სახელოვანი 40 წლის იუბილესათვის საჩუქარი მიუძღვნან თავის უფროს ძმას—კომკავშირს. გადაწყვიტეს და საქმე სისრულეშიც მოიყვანეს. შეგროვილი ჯართი რიგის ვაგონშემკეთებელ ქარხანას



ჩააბარეს, სადაც ქარხნის კომკავშირელები სამუშაოსაგან თავისუფალ დროს სახწრაფო მატარებლის 10 ვაგონიან შემადგენლობას ააგებენ.

რიგელ პიონერებს არც ის ავიწყდებათ, რომ ჩვენს საყვარელ დედაქალაქს მალე 1.500 წელი უსრულდება. ყველგან—პიონერთა სასახლეში, სკოლაში, რაზმეულებში, რაზმებში -- ინტერესით ლაპარაკო-

ბენ ამ ჩვენს დიდ სახალხო ზეიმზე, ემზადებიან მის აღსანიშნავად. ამ დღისათვის საჩუქრებს უმზადებენ თბილისელ პიონერებს. ჩვენ ვნახეთ თქვენთვის განკუთვნილი ალბომები, მოდელები, ვნახეთ პიონერთა სასახლის ხელსაქმის წრის წევრი გოგონების მიერ სიყვარულით ნაკერი ლატვიური ნაციონალური ტანსაცმელი, კერამიკული ნამუშევრები. პიონერთა სასახლეში ვნახეთ ცეროდენა გოგონას მიერ შეკერილი ბალიშისპირი, რომელზეც ლატვიური ნაციონალური ორნამენტებია ამოქარგული. ამ ნაქარგს თან პატარა ბარათი ახლავს, რომელზეც გაუმართავი, ბავშვური ხელითაა გამოყვანილი: „მე ძალიან პატარა ვარ და იმედი არა მაქვს, რომ უფროსები თბილისელი მეგობრების დიდ ზეიმზე წამიყვანენ. ამიტომ გთხოვთ, ეს ჩემი პატარა საჩუქარი, როგორი სასაცილოც არ უნდა გეჩვენოთ ის, თან წაიღოთ და ჩემს თბილისელ თანატოლებს მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად გადასცეთ.

მე-4 კლასელი პიონერი
ა. მაგუსენოკი“.

ეჭვგარეშეა, რომ თბილისელები სიხარულითა და მადლობით მიიღებენ მეგობრული სიყვარულით გამთბარ ამ საჩუქარს.

ეს მეგობრობა განა მარტო რიგელი და თბილისელი თანატოლების ურთიერთობით ამოიწურება. რიგის ცალკეულ სკოლებს უკვე დიდი ხანია კავშირი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სკოლებთან. მაგალითად, რიგის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს ორ წელზე მეტია მიმოწერა აქვთ ქუთაისელ მოსწავლეებთან. მაიაკოვსკის სახელობის ქუთაისის პირველ საშუალო სკოლასთან სოცშეჯიბრშიც არიან ჩაბმულნი. ამ სკოლის მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ ერთმანეთთან სტუმრად ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. „ჩვენ ისიც გვაკავშირებს, რომ ჩვენი სკოლები რევოლუციის ორი დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ლეონ პაეგლეს სახელს ატარებენ!“ — ამბობენ ამ სკოლის მოსწავლეები და სიყვარულით გვათვალიერებინებენ მათ მიერ მოწყობილ „ლატვია-საქართველოს“ კუთხეს, სადაც დიდი ლატვიელი პოეტების იან რაინისისა და ლეონ პაეგლეს სურათების გვერდით შინაურებივით გამოიყურებიან ჩვენი სასიქადულო მგოსნების — შოთას, ილიასა და აკაკის პორტრეტები. აქვე ძვირფას რელიქვიებად ინახება საჩუქრები, რომლებიც მათ ქართველმა მეგობრებმა მიუძღვნეს საქართველოში სტუმრად ყოფნისას. აქაა სურათები, ალბომები, ქართული ტანსაცმელი, ფირფიტები ქართული სიმღერებით და კიდევ ბევრი რამ. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო ამ სკოლის პიონერების მიერ ქართველი პიონერებისადმი მიწერილი ბარათები. აი, რას სწერს ერთ-ერთი მათგანი ქუთაისელ თანატოლს:

„დიდი მადლობა საჩუქრებისათვის, გამოგზავნილი ხილი ძალიან ტკბილი იყო. ყველაზე ტკბილი, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს. ალბათ იმიტომ, რომ იგი თქვენს მადლიან მიწაზე, თქვენი ხელითაა მოყვანილი“.

ქალაქის სკოლების, პიონერთა სასახლის მუშაობის გაცნობისას ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო, საყურადღებო. გავეცანით პიონერული რაზმეულის, ნორჩი ტექნიკოსების, მხატვრების, ნატურალისტების, მოგზაურების, ხელმარჯვეების მუშაობას, ვნახეთ მათი შესანიშნავი ნამუშევრები. აღტაცებაში მოგვიყვანა სასახლის ნორჩი ელექტროტექნიკოსებისა და ტურისტების მიერ გაკეთებულმა ელექტროფიცირებულმა რუკამ „1917 წლის ამბები“, გემთმშენებლებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მკეთებელი წრის წევრთა ნამუშევრებმა, რომლებიც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი გახდნენ, ნორჩ ავიამოდელისტთა პლანერებმა, რომლებიც 1956—57 წლის საკავშირო თასის მფლობელები არიან.

რიგის მე-2 საშუალო სკოლაში ვნახეთ მოსწავლეთა მიერ მოწყობილი შესანიშნავი სასკოლო მუზეუმი, რომელიც მშობლიური სკოლის არსებობის 40 წლის იუბილეს მიუძღვნეს. რა სიყვარულით, რა მონდომებითაა თავმოყრილი და განლაგებული ყველა მასალა, ფოტოდოკუმენტები, გაზეთებსა და ჟურნალებში მათ სკოლაზე დაწერილი სულ პატარა წერილებიც კი. აქვეა 40 წლის მანძილზე სკოლის



რიგის მეორე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტები რთავენ თავიანთ სტენდს სასკოლო მუზეუმში.

მიერ აღზრდილი სასახელო ადამიანების სურათები. მათ შორის პირველი ლატვიელი კომკავშირელის, გერმანელ ფაშისტებთან სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემული გმირი ჭაბუკების მადლის კრეიასა და ჯემ ბანკოვიჩის პორტრეტები. მათ წინ ლამაზ ნაციონალურ სურებში მუდამ დგას ცოცხალი ყვავილების თაიგული, ნიშნად იმისა, რომ ამ სკოლის ახლანდელი და მომავალი თაობების გულში ეს წმინდა სახელები მარად იცოცხლებენ.

ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, გამრჯე ბიჭუნა და გოგონა სწავლობს და შრომობს აქ მშობლიური სკოლებისა და ქალაქის სასახელოდ და საკეთილდღეოდ. ყოველივე ამის ჩამოთვლა, ცხადია, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მაინც შევეცადეთ ზოგიერთი რამ გვეამბნა თქვენთვის, დანარჩენის შესახებ კი თვით რიგელ პიონერებს ვთხოვეთ და აქ მოთავსებულ პატარა წერილებში ისინი თვითონვე მოგითხრობენ თავიანთი სწავლისა და საქმიანობის შესახებ.

## სალამი ქართველო მეგობრებო!

ჩვენ, ქალაქ რიგის პიონერები, პიონერთა სასახლის ცეკვის წრის წევრები, გულითად სალამს გითვლით თქვენ, მზიური საქართველოს პიონერებს და გილოცავთ თქვენი დედაქალაქის — თბილისის 1500 წლის იუბილეს.

ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი სასახლე და სიხარულით ვმონაწილეობთ მისი წრეების მუშაობაში. ცეკვის წრეში 120 ბავშვია გაერთიანებული. მიმდინარე წელს მოვამზადეთ და დავდგით ბალეტი — ლატვიური ხალხური ზღაპარი «სპრიდიტი», რაც თქვენს ენაზე «ცეროდენას» ნიშნავს. ეს დადგმა ძალიან მოსწონთ ბავშვებს, მასში ჩაბმულია 80 მოსწავლე. ესაა ჩვენი პირველი დიდი დადგმა. მანამდე კი პატარა საბალეტო დადგმებით ვკმაყოფილდებოდით. ასეთი იყო «სასკოლო ვალსი», «საფესტივალო კარნავალი». ამას გარდა, ჩვენ ვსწავლობთ მოძმე რესპუბლიკების ხალხურ ცეკვებს. ვისწავლეთ თქვენებური ცეკვა «ქართული».

ძვირფასო მეგობრებო! მოგვწერეთ თქვენი სასახლის შესახებ, აგრეთვე, თქვენს მეცადინეობაზე, თქვენს ლამაზ დედაქალაქზე, რომელსაც ჩვენ მხოლოდ სურათებითა და გადმოცემებით ვიცნობთ.

სასახლის ცეკვის წრის წევრთა პიონერები:

**რ. რუდიტლე, ლ. ველდე,**
**ტ. მაცკუსი, ბ. ლეპატა.**

## ძვირფასო მეგობრებო

ცოტა რამ ჩვენი სკოლის შესახებ მინდა გიამბოთ. სკოლაში გვაქვს პიონერული ფაბრიკა, რომელიც რიგის ელექტროფაბრიკის შეკვეთებს ასრულებს. გვყავს ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა და სხვა წრეები. ცოცხალი ბუნების კუთხეში გვყავს კუ, ბაჭიები, მრავალგვარი თევზი, ზღვის ღორები. მე და ბევრი ჩემი თანაკლასელი ჩაბმული ვართ სპორტულ სექციებში და არცთუ ისე ცუდი წარმატებები გვაქვს. ახლა საზაფხულო არდადეგების პერიოდში მრავალი საინტერესო ექსკურსია და ლაშქრობა ჩავატარეთ. ჩვენი კლასის პიონერებს დიდი სურვილი გვაქვს ვიცნობდეთ თბილისელი პიონერების მუშაობას, თუმცა სოცშეჯიბრში ქუთაისის პირველ საშუალო სკოლის პიონერებთან ვართ ჩაბმული; გვაქვს მიმოწერა, ერთმანეთს ვუგზავნით საჩუქრებს. ჩვენი უფროსკლასელები უკვე გასულ შემოდგომაზე იყვნენ საქართველოში, გაეცვნენ ქუთაისს, იყვნენ მაიაკოვსკში; ნახეს შესანიშნავი კურორტი წყალტუბო, და ქართველი მეგობრების შეხვედრით, ნახულითა და განცდილით დიდად კმაყოფილები დაბრუნდნენ. ჩვენც, უმცროსკლასელები, მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა ღირსნი გავხდებით თქვენს ლამაზ რესპუბლიკაში ჩამოსვლისა.

გულითად სალამს გითვლით.

რიგის პირველი საშუალო სკოლის მეხუთეკლასელთა სახელით

**იანის ბროდელისი.**



შემთმშენებელი წრის ნამუშევარმა საერთო მოწონე- ბა დაიმსახურა.



პიონერთა სასახლის ნორჩ მხატვართა წრის წევრის მიერ შესრულებული პეიზაჟი.

## ასე მუშაობს ჩვენი წრე

რიგის № 2 საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე, რომელშიც მე-5—მე-7 კლასის მოსწავლეები ვართ გაერთიანებული, საინტერესო მუშაობას ატარებს. აქ მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით წარმოებს, ერთნი ჩვენი სკოლის ეზო-გარემოს გამწვანებასა და გალამაზებაზე მუშაობენ, მეორენი აწარმოებენ ცდებს «მზიან ბაღში». მე-6—მე-7 კლასელები კი პიონერთა სასახლის ნაკვეთებში მუშაობენ. მომავალ სასწავლო წელს ჩვენი წრის წევრები ქალაქის ზოოლოგიურ პარკშიაც იმუშავებენ.

ნორჩ ნატურალისტთა წრეში მე 1955 წლიდან ვმუშაობ. პირველ წელს ჩემს მეგობარ დიანა პაიგლესთან ერთად ვატარებდი ცდებს დეკორატიულ კვახზე, გარდა ამისა ვმუშაობდი ტიტას სხვადასხვა ჯიშის გამოყვანაზე, — თითოეულს განსხვავებული ფერი ჰქონდა. 1957 წლიდან პიონერთა სასახლის ნორჩ ნატურალისტთა წრეში ვმუშაობდი პამიდორის ახალი ჯიშის შექმნაზე, რომელიც უკეთ შეეგუებოდა ჩვენი რესპუბლიკის კლიმატს.

1957 წლის ოქტომბერში, «მზიურ ბაღში» მუშაობისათვის მე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გავხდი. განუმეორებელი იყო შთაბეჭდილებები, რაც მოსკოვში ყოფნისას მივიღე. გამოფენის მონაწილის ოქროს მედალი, რომლითაც მე დამაჯილდოვეს, ჩვენმა წრემ მიიღო, როგორც კოლექტიური ჯილდო, ჯილდო არა მარტო ჩემი, არამედ მთელი წრის მუშაობისათვის. ეს მაღალი ჯილდო კიდევ უფრო მეტს გვავალებს და შთაგვაგონებს, რომ შემდგომში უფრო უკეთ ვიმუშაოთ.

რიგის № 2 საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი
**ილზე გრალე.**

## ჩვენი პიონერული რაზმი

ჩვენი პიონერული რაზმი არც თუ ისე დიდი ხანია რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საინტერესო გავაკეთეთ, კერძოდ, 1957-1958 სასწავლო წელს ვეცნობოდით ლატვიელი ხალხის სახელოვანი შვილების, რევოლუციონერების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ჩვენს რაზმში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა! ყოველ დღესასწაულზე ძველ რევოლუციონერებს ვეწვევით ხოლმე, მიგვაქვს მათთვის ყვავილები, საჩუქრები. განსაკუთრებით მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებს სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირთან კრიშიანთან. ვცდილობთ ყოველი შეკრება საინტერესოდ ჩავატაროთ: მაგალითად, ვ. ი. ლენინის დაბადებისადმი მიძღვნილი შეკრება რევოლუციის მუზეუმში ჩავატარეთ, პირველი მაისისადმი მიძღვნილი შეკრება კი — ბიკერნეკის ტყეში, სადაც მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიული ლატვიის პერიოდში არალეგალურ მაისობებს აწყობდნენ.

ვეწვევით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასაც. მაგალითად, აღვადგინეთ 1-4 კლასებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინოებათა კაბინეტი.

ახალი ჩვენს მუშაობაში ის არის, რომ შეკრებების უმეტესობას სკოლისგარეთ ვატარებთ. მაგალითად, ჩავატარეთ შეკრებები აბრეშუმსაქსოვ კომბინატში, მხატვართა კავშირში, მუზეუმში. მეტად საინტერესოდ ჩავატარეთ შეკრება — «უნდა შეგეძლოს მოემსახურო საკუთარ თავს». ვუშვებთ კვირაში ორჯერ «ელვას», სადაც ვათავსებთ წერილებს ჩვენი რაზმის მუშაობაზე, ცალკეულ პიონერებზე, რომლებიც ზარმაცობენ.

წელს, 10 მაისს, ჩვენმა რაზმმა შექმნის პირველი წლისთავი იზეიმა. შეკრებისათვის მოვაწყეთ ჩვენი ნამუშევრების გამოფენა. საზეიმო შეკრებაზე ბევრი სტუმარი დაგვესწრო. ძველმა რევოლუციონერმა ვეინბერგმა გადმოგვცა წითელი ალამი წარწერით: «საუკეთესო პიონერული რაზმი».

მომავალშიც ვეცდებით ღირსეულად ვატაროთ ეს საპატიო სახელი.

**რიგის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 რაზმის პიონერები.**



რიგის პიონერთა სასახლის ხელმარჯვეთა წრის წევრების მიერ გაკეთებული თოჯინები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ელანიძე

# ყაშა

ნახატი დ. ხახუტაშვილისა

## „შავი“ ყაშა*

როგორც პაპა გოლამ იმთავითვე მითხრა, შვიდი დღე გავატარეთ ტყეში.

შესანიშნავი ხასიათისა იყო მოხუცი. მიყვებოდა საინტერესო ამბებს წარსულიდან, ტყის ცხოვრებიდან; ზოგჯერ თხრობაში განგებ სახუმაროსაც ჩაურთავდა ხოლმე — მაცინებდა და თვითონაც შემომცინოდა ანთებული თვალებით.

მე ხომ მშობლიურ ალერსს მოკლებული ვიყავი და მაშინ იმ მოხუცის სიახლოვე ისე განვიცადე, თითქოს ნამდვილი პაპა ყოფილიყო ჩემი. თანაც ვგრძნობდი, რომ ისიც ისე შემომყურებდა, როგორც საკუთარ შვილისშვილს. ჩვენს ამგვარ განცდებს ხელს უწყობდა ჩამავალი მზით განათლებული წყნარი საღამოები. ჩვენთან ერთად თითქოს ყველაფერი იცინოდა და მხიარულობდა.

მეშვიდე საღამოს პაპა გოლამ გამაფრთხილა:

— იცოდე, ბევრს ნუღარ ირბენ ტყეში, თორემ ჩვენ ხვალ ვამთავრებთ სამუშაოს, ზეგ გავემგზავრებით სახლისაკენ და გზაში დაიღლები.

— რომელი გზით წავალთ გოლა პაპა? — ვკითხე მე.

— იმ გზით წავალთ, რომლითაც შენ აქ მოხვედი. ცხვარბევრას ბინას გვერდზე ავუვლით, შეიძლება შეგხვდნენ ის შენი ნაცნობი მწყემსები და თვითონ ბინის პატრონიც...

ამ ცნობამ ჩემზე ცუდად იმოქმედა, იმავე წუთში იმ ნახშირისფერი კაცის ლანდი ამეტუზა თვალწინ.

გულში მაინც ჩამრჩა ერთგვარი შიში: „ვაი თუ მართლა იქით გავიარეთ და მოულოდნელად შემოგვხვდნენ წინ?“ — გამკრავდა ფიქრი დროდადრო. ამ დარდმა ღამეც კი აღარ დამაძინა წესიერად — სიზმარში ვხედავ თითქოს მე და გოლა პაპა მივდივართ მარტო და ყაშა ჩვენთან აღარ არის. ხან თითქოს ვილაცები გვხვდებიან გზაში და ყაშას გვართმევენ.

მთელი ღამის ამდენი ფიქრისა და ზმანების შემდეგ გადავწყვიტე: ყაშას შევუცვალო ფერი, გავგრიხო ერთი გრძელი წნელი, შევაბა ყელზე და იმით ვატარებინო პაპა გოლასვე, თუ იმ ცხვარბევრას ბინისკენ მოგვიხდა წასვლა.

დილით პირველ რიგში შევუდექი საღებავების ძებნას — ოსტატის წასვლის შემდეგ ფარდულიდან ავიღე ყველაზე დიდი ჯამი და გავყევი ტყის მდინარისაკენ.

პირველად ანწლს წავაწყდი. ჩავწურე ერთი შავი მტევანი ჯამში, ჩავაგდე შიგ თეთრი ხავსი და წენგოსფრად შეიღება. ასეთივე გამოვიდა ხეანწლაც. რადგან ეს ფერი არ მომეწონა, ახლა მაყვალი გავსინჯე; მაყვალს იმერლის საფერავი მივაყოლე და არც ესენი გამოდგა.

ამ ცდების შემდეგ სადღაც წავაწყდი შავ ქიჭყოტს. სკოლაში ყოფნის დროს მისგან მშვენიერ შავ მელანს ვაკეთებდით. ახლაც ჩავწურე მისი ნაყოფი ჯამში, ჩავაგდე ხავსი, და გამართლდა მოლოდინი. იქვე ვიპოვე შავჯაგრა, მისი ნაყოფის წვენიც ისეთივე შავი აღმოჩნდა. შევურიე ისინი ერთიმეორეში, ჩავწურე ჯამში დიდი რაოდენობით, გავაკეთე ხავსის ფუნჯი და შევუდექი ყაშას ფერის შეცვლას.

დამებადა აზრი — შუბლზე მაინც დამეტოვებინა მცირე თეთრი ადგილი, მაგრამ ბოლოს იმაზეც შევფიქრიანდი, თავიც ერთნაირად მივაყოლე, საბოლოოდ ცხვირზე კიდევ წავუსვი შავი ფუნჯი და მთლიანად დაიკარგა თეთრი ყაშა!

— ახლაც იცნობენ?! — წამოვიძახე ნიშნის მოგებით და მაშინვე შორიდან შევხედე შავ ძაღლს.

ყაშასათვის შესაბმელი წნელიც იქვე დავამზადე და გამოვბრუნდი ფარდულისაკენ. უკვე საღამო ხანია, მაგრამ მე მაინც განგებ ვიგვიანებ, ბინდის შემოსვლას ველი, არ მინდა გოლა პაპამ დილამდე შენიშნოს ჩემი ოინი.

ასეც მოხდა, იმ დროს მივედი კარავში, რომ კაცი

* დასასრული.

ალარ იცნობოდა. ყაშა უკან მოვიტოვე, რამდენჯერმე დავტუქსე კიდეც, მისვლისთანავე საჭმელი კარგა მოზორებით დავუდგი. მიაძღა გემოზე და იქვე ხის ქვეშ მიწვა.

დილით ადრე ძილშივე ჩამწვდა გოლა პაპას შეძახილი:

— წადი, დაიკარგე აქედან, შე სამგლევ!

მაშინვე მივხვდი, რომ მოხუცი ყაშას აგდებდა კარავიდან.

საწოლიდან წამოვიწიე თუ არა, ახლა მე მომაძახა:

— ბიჭო დათა, სიდან გაჩნდა ეს შავი ძაღლი აქ?! ყაშას როგორ შემოეპარა?

შეღებილი ყაშა განზე დგას ლაჯებში კუდამოჩრილი და შემოგვყურებს ხან მე და ხან მოხუცს საცოდავი თვალებით. მე თუმცა უხერხულად ვგრძნობ თავს, მაინც ჩუმად მეცინება და ვეუბნები მორიდებით:

— გოლა პაპა, ეგ ყაშაა თვითონ.

— როგორ, ბიჭო, შენ გინდა შავი ძაღლი თეთრად მომაჩვენო?!—მომიბრუნდა გაკვირვებით.

— არა, სულაც არა, ყაშა მე შევღებე შავად გუშინ, რომ გზაში არ იცნონ და არ წამართვან!

მოხუცს ახლა კი სიცილი აუვარდა, ხელი მომხვია და მოფერებით მითხრა:

— ჩემი ბრალია, შვილო! მაშინ ის სიტყვები მცდარად რომ არ მეთქვა, შენ ამას არ იზამდი, საცოდავ ყაშას არ გააშავებდი.



მეტი აღარაფერი უთქვამს, მაშინვე შევკარით ბარგი და გზას გავუდექით.

* * *

ტყეს გავცდით თუ არა, იქვე ერთი მაღლობიდან სამხრეთისაკენ მიმითითა და თან დააყოლა: სულ ტყუილად ჩაგიარა ყაშას ფერის შეცვლამ, შვილო. აბა, დააკვირდი, აქედან ერთი დღის სავალზე დარჩა ის ბინა, რომელსაც შენ ისე ავად იხსენებ, ამხელა მანძილზე ვის შეუძლია ჩვენთან შებრძოლება!

მე ახლა კიდევ უფრო მეუხერხულა ყაშას ისე მოთხუნვა და მორცხვად თავი დავხარე...

მცირე მანძილის გავლის შემდეგ ცა მოულოდნელად კუპრივით შავად მოიბურდნა. ატყდა ელვა, ქუხილი, დაუშვა კოკისპირული წვიმა. გზა უცბად ატალახდა, გაჩნდა გუბეები, წამოვიდა ღვარები:

მოხუცი შეწუხებული სახით მეუბნება:

— წვიმამ ხომ არ ჩაგატანა? სიარული გიჭირს?

— ნუ წუხდები, გოლა პაპა! - ვანუგეშე გაბედულად,— ხომ იცი რამდენი ქარიშხალი გამომივლია მწყემსობაში, იმასთან ეს რა სახსენებელია...

ის მაინც სწუხს, განიცდის, იმ საშინელ თავსხმაში წინ მიმიძღვება და გეზს მაძლევს. მე ჩემი თავი სულაც არ მახსოვს. ყაშაზე ვარ გამწარებული. გოლა პაპა მისკენ არც იყურება ჯერ, არ იცის რომ ყაშა ჩემზე მეტად არის სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი: თავზე, ზურგზე და კუდის ზედა მხარეზე ჩამოერეცხა საღებავი, ფეხები მუხლებამდე მთლად გაუთეთრდა, ერთი სიტყვით საშინელი შესახედავი გახდა.

გოლა პაპამ ყაშა ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა, ჯერ ბევრი იცინა და ბოლოს დააყოლა:

— ასეთი ფერის ძაღლი, როგორიც ახლა ყაშაა, ალბათ მთელ დედამიწაზე არ მოიძებნება.

ამის შემდეგ ჩვენ ორივენი კარგა ხანს ჩუმად ვიტანდით ზეცის რისხვას და მორჩილად მივარღვევდით ტალახს.

წვიმამ მალე გადაიღო, მზემაც გამოანათა. მზეზე ყაშა კიდევ უფრო აჭრელებული და შეუხედავი გამოჩნდა.

— არა! ამ ძაღლის ასე მიყვანა სახლში შეუძლებელია! - ამბობს შეწუხებული გოლა პაპა.—საკმარისია ჩვენმა სოფლელებმა თვალი მოჰკრან და მაშინვე „ძაღლისმღებავიანთ" დაგვიძახებენ. იქ ისეთი ჩვეულება აქვთ — თუ ვინმეს სასაცილოს, ან აკვიატებულ რამეს შეამჩნევენ, გათავდა, სახელი მზად არის — ხელად მონათლავენ იმ ნიშნის მიხედვით.

ამის თქმაზე უფრო შევწუხდი, მივაყენე შავი ძაღლი ერთ მოზრდილ გუბეს და ვხეხე ხან ქვიშით, ხან ტალახით, სანამ ისევ საკუთარი ფერი არ დავუბრუნე. ის იყო, ყაშას გათეთრება კი მოვასწარი და, იმ დროს იქით გამოიარეს გოლა პაპას სოფლის ურმებმა. ჩვენც ერთ-ერთ ურემზე მოვეწყეთ და ასე ჩავედით შუაღამისას ჩემს უცნობ სახლში.

ჩემი მასპინძლის ორსართულიანი სახლი სოფლის განაპირას დგას, ზევიდან გომბორის მთის ჩრდილო კალთებზე გადაჭიმული ტყე მოსდგომია.

გოლა პაპამ სამი პატარა თეთრი ჭიქა ღვინით შეავსო და სათითაოდ დაგვიდგა. მესამე თვითონ ასწია, სადღეგრძელო თქვა და დალია.

## ახალი მემკვიდრეობა

ეზოს კარები მაიკო ბებიამ გაგვიღო, სინათლეზე რომ შემომხედა, ჩემი ვინაობა მერელა იკითხა. გოლა პაპამ რამდენიმე სიტყვით დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა:

— ესა და ეს კაცია, დანარჩენს ხვალ გიამბობ, ახლა დაღლილები ვართ და თანაც გვეძინება,—მოუჭრა მოკლედ.

მე იმ ღამეს დაღლილობის გამო ანგარიში არ გამიწევია, თუ სად, როგორ სახლში მივედი, ან სად დამაწვინეს. მთელი ღამე ძილქუშდაცემულს მეძინა.

დილით ახლადგაღვიძებული სოფლის ხმაური ჩამწვდა ყურში. ამ ხმამ დედის ტკბილ ნანასავით ისევ ძილის ბურანში გამხვია. მაინცა ვგრძნობ, ღია ფანჯრიდან შემოდის ხილის სურნელებით გაჟღენთილი გრილი ჰაერი. მესმის იხვების ჭყიპინი, ღორების ჭყვიტინი, საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა. მინდა თვალი გავახილო, უკეთესად მოვისმინო ეს ხმები, რაც დიდი ხნიდან მონატრებული მაქვს, მაგრამ ძილს თავს ვერ ვართმევ.

ყველაფერ ამას რომ განვიცდი და ვისმენ, ასე მგონია თითქოს მე ახლა ისევ ჩემს სოფელში ვარ, დედასთან. აი, ის ან ახლა შემოვა, ან ახლა, და გადამეხვევა-მეთქი, ვფიქრობ.

ამ მოლოდინში მართლაც გაიღო კარი და მოისმა ფეხის ხმა. ახლა კი მოვახერხე თვალის გახელა და ვხედავ: ჩემ წინ დგას მაღალი, გამხდარი, ოდნავ წელში მოხრილი, შავით მოსილი დედაკაცი.

— როგორ გეძინა, შვილო, ხომ არ შეგცივდა?—მეკითხება ის მოკრძალებით.

— კარგად მეძინა, ბები, ძალიან კარგად,—ვეუბნები წყნარად და ისევ თვალებსა ვხუჭავ, ველარ ვბედავ მეორედ შეხედვას.

დიდი ხანი არც ის გაჩერებულა.

— ტანსაცმელი მანდვე აწყვია, მგონი კარგად გექნება,—თქვა და გავიდა.

— მაიკო ბებიაა!—ვთქვი ჩემთვის წყნარად და იმავე წუთში ისევ ძილმა წამიღო.

მცირე ხნის შემდეგ ისევ აჭრიალდა კარი და მოისმა მამაკაცის ხმა:

— მოიცა, ჯერ ნუ გაალვიძებ, ცოდოა!

მე მაინც გავახილე თვალი და იმავე წამში მზერა კავკასიონის მთებმა მომტაცა, ისინი ჩრდილოეთიდან შემომყურებდნენ.

— ასევე მოჩანდნენ ეს მთები ჩვენი სახლის აივნიდანაც!—ვთქვი ჩემთვის და თან ტანსაცმელს მივატანე თვალი. დავეძებ ჩემს ტანსაცმელს, მაგრამ უშედეგოდ, მათ ადგილზე სულ სხვა აწყვია. ფაქიზად გაკრიალებული საცვლები, ნაცრისფერი ფანელის ხალათი და შარვალი, თუშური ქუდი და ახალი მესტები.

— არა, ეს არ არის!— ვიქნევ თავს და ისევ ჩემს ტანსაცმელს ვეძებ, ვიხედები ტახტქვეშ, მაგიდის ქვეშ.

მე არ შემიმჩნევია, ისე შემოსულა გოლა პაპა. დგას კარებთან და გაოცებული მეუბნება:

— ბიჭო, რა დაგემართა, რატომ არ იცმევ?

— გოლა პაპა! ჩემი ტანსაცმელი ვერ მიპოვნია, არ ვიცი შიგნით დავალაგე თუ გარეთ,—ვლუღლუღებ შეწუხებული და განვაგრძობ ძებნას.

— შვილო! აი ტანსაცმელი! მაიკო ბებიამ წუხელვე გაგიმზადა!

— კარგი, მაშ ჩავიცვამ,—ვეუბნები დარცხვენით და საცვლებიანად ტახტს ვეფარები. თან ვეხვეწები ცას და დედამიწას, რომ მოხუცი გარეთ გავიდეს, თავისუფლად ამოვისუნთქო. ის კი არა, ჯიბრზე მეორემაც სწორედ მაშინ შემოყო თავი, კიდევ კარგი, შარვლის ჩაცმა მაინც მოვასწარი, დანარჩენი მათ თვალწინ ჩავიცვი.

მთლიანად რომ გამოვეწყვე, გოლა პაპამ მხრებში ხელი ჩამჭიდა და სარკისაკენ შემაბრუნა:

— ახლა სულ სხვა ბიჭი ხარ, ისე გამოიცვალე, რომ შენი ყაშაც ველარ გიცნობს.

— ხომ ჰგავს ჩვენს დათას?—მიუბრუნდა ახლა დიასახლისს გოლა პაპა და სარკის წინ კიდევ შემომატრიალა.

— ჰგავს, იმის სახელს ვენაცვალე, ძალიან ჰგავს!—სევდიანად ჩაილაპარაკა მაიკო ბებიამ.

ვიფიქრე ამით დამთავრდა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. მოხუცებმა იქვე შუაზე დამისვეს და დამიწყეს გამოკითხვა ჩემი მშობლების, წინაპრებისა და მახლობლების შესახებ. მე თან ვპასუხობ, თან უნებლიედ ოთახს ვათვალიერებ. იქ სხვა ნივთებთან ერთად ყველაზე უმალ შევნიშნე წიგნებით სავსე თარო. წიგნები უწესრიგოდ აწყვია. ზოგს ყდა აქვს მოგლეჯილი, ზოგს ყუა, ზოგიც გახუნებული და გაცრეცილი გამოიყურება...

ნეტავი ახლა ეს წიგნები გადამასინჯინა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაიკო ბებიამ აღარ გაგვაჩერა, იქიდან პირდაპირ სუფრაზე მიგვიწვია, რომელიც წინასწარ გაეშალა. სუფრას შემოვუსხედით თუ არა, გოლა პაპამ სამი პატარა თეთრი ჰინჭილა ღვინით შეავსო და სათითაოდ დაგვიდგა, მესამე თვითონ ასწია, სადღეგრძელო თქვა და დალია.

ასევე მოიქცა მაიკო ბებიაც. ჯერი ახლა ჩემზე მოდგა, მაგრამ მე უარი ვთქვი: ღვინოს როგორ დავლევ, არასოდეს გემოთიც არ გამისინჯავს-მეთქი.

— არა, შვილო,—მითხრა ოსტატმა,—ტყეში თუ მხოლოდ წყაროსა ვსვამდით, აქ ღვინოც უნდა დავლიოთ, ეს არის ჩვენი შეხვედრისა და დამეგობრების დასალოცი.

მეც დავემორჩილე უფროსების ნებას, ორიოდე ჩურჩულა სიტყვა ვთქვი და პირველად გავსინჯე ღვინის გემო.

* * *

მოხუცებმა საუზმის შემდეგაც კიდევ კარგა ხანი გააგრძელეს ბაასი. მე, მართალია, სიამოვნებით ვისმენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველაფერს და თანაც თითქოს ეკლებზე ვზივარ, ათასი უხილავი ძაფი მეწევა გარეთ, მით უფრო, რომ კარებს დროდადრო საიდანღაც ბავშვების ხმაური და შეძახილები აწყდება, თანაც იქაურობისათვის ჯერ თვალი არ გადამიკრავს.

მიუხედავად ასეთი სურვილისა, სანამ ოსტატი არ წამოდგა, მე ადგილიდან დაძვრა ვერ გავბედე. ისევ მას გავყევი და, საითაც წავიდა, მორიდებულად უკან ავედევნე. მოხუცი სახლის გარშემო დაფუსფუსებს და ათვალიერებს ყველაფერს. მეც მასთან ერთად ვაკვირდები იქაურობას.

აქ ჩემთვის ბევრი რამ უცხო და თანაც საინტერესოა. მე ხომ ამგვარად საკუთარ კარმიდამოში მოფუსფუსეებს არც მამას და არც პაპას არ ავდევნებივარ არასოდეს.

მოხუცი ზოგჯერ ბუზღუნებს. როცა რაიმეს ნახავს

გაფუჭებულს, ცუდად მიგდებულს, ჯავრობს მაიკო ბებიას უყურადღებობაზე, უწყრება მეზობელს, რომელსაც ადრევე რაღაც ნივთი ან ხელსაწყო წაუღია და აღარ დაუბრუნებია.

გოლა პაპამ, ასე რომ შემოიარა ყველგან, მერე ვენახის კარი შეაღო. იქ შესვლა მტერსაც კი გაეხარდებოდა, ისე შემოგვანათა შრომის ხვავმა. დაქარვებულ მტევნებს ღონივრად დაეზნიქა ვაზები. სხვადასხვა ფერებით ამშვენებდნენ იქაურობას ვაშლის, კომშისა და ატმის მწიფე ნაყოფით დატვირთული ხეები.

ვატყობ, გოლა პაპა უზომოდ გახარებული შეჰყურებს თავის ნაშრომს. თუმცა მამულის ბოლოს რომ მივაღწიეთ, იქ რატომღაც ნირი შეიცვალა, მოიღუშა და ისევ აბუზღუნდა. ამის მიზეზს მეც მალე მივხვდი—რამდენიმე ვაზზე პირწმინდად ჩამოსვლეპილი, ცარიელი მტევნის ჩენჩოები შევნიშნე.

— ეშმაკმა წაიღოს, ეტყობა რაღაც შემოსჩვევია ჩემს აქ არ ყოფნაში,—დაიჩივლა მოხუცმა.

— აი, კუთხის ძირში გატეხილი ღობეც!

იქვე ღობის ხვრელში რამდენიმე ბეწვი ვიპოვეთ.

გოლა პაპა იმ ბეწვს ხელში ატრიალებს და ამბობს:

— ეს ან ძაღლი იქნება, ან მელა.

„აქაც შეიძლება მტაცებელთან შებრძოლება!“ გამიელვა და მოხუცს მივმართე:

— გოლა პაპა, საღამოზე აქ ყაშა მოვიყვანოთ, ტანსაცმელი რამ დავუგდოთ, იმას რომ დაინახავს, ის აქაურობას აღარ მოშორდება, და არც ვენახში შემოუშვებს რამეს.

მოხუცს სახე გაუბრწყინდა, შევატყე მოეწონა ჩემი გადაწყვეტილება.

დავბრუნდით შინ. მე იმ წიგნებისკენ გავწიე, რომლებიც დილიდანვე თავში მიტრიალებდა. აი, უკვე მივუჯექი იმ მტვრიან თაროს და თან ვფიქრობ: „რა კარგია! დღესვე ჩემთვისაც და ყაშასთვისაც სამუშაო ვიშოვე“.

პირველად „ყარამანიანი“ მომხვდა ხელში, უშველებელი ღიპიანი წიგნი, ყარამანის, ქუჩუკდევებისა და მათუზდევების ამბებით გატენილი. დავიწყე კითხვა და ველარ მოვშორდი. იმ დღეს მაიკო ბებიამ რამდენჯერმე შემოჰისწრო იმ ზღაპრების წინ ფეხმორთხმულს. ორჯერაც სამხარზე და სადილზე წამიყვანა და ისევ იქ დავბრუნდი.

საღამოთი ყაშას ზომაზე მეტად ვაჭამეთ და წავიყვანეთ ვენახში. თან ჩემი თექისძველა წავიღეთ. მე იმავე ღამეს მოლოდინი მქონდა—ყაშა დილამდე რაიმე საწაულს მოახდენს-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ, არ გამიმართლდა. მეორე დღემაც მშვიდად ჩაიარა, მესამემაც. გოლა პაპას იმ ყურძნის ქურდზე ჯავრის ამოყრის იმედი უკვე დაეკარგა. მე მაინც მოლოდინში ვიყავი. ყაშა დღისით გამომყავდა და საღამოთი ისევ იქ მიმყავდა.

მეხუთე ღამეს, ჯერ დაწოლილები არ ვიყავით, რომ მოისმა ვენახიდან ერთი გაბმული ყეფა, ღრენა, გრიალი

და რაღაც უცნაური ქყიპინი... ამას მოჰყვა სოფლის ძაღლების ჩოჩქოლი, მეზობლების ხმაური.

მე და გოლა პაპა ხელკეტიანები შევვარდით ვენახში, მაიკო ბებიამ თანვე სინათლე მოგვადევნა, მაგრამ, სანამ ჩვენ მივიდოდით, ყაშას ყურძნის ქურდისათვის უკვე წირვა გამოეყვანა. რუმბივით გასივებულ მაჩვს აჯდა ზევიდან და კისერს უღრღნიდა.

მეორე დღესვე გავარდა ხმა მთელ უბანში ამ ამბის შესახებ. ბავშვებმა დაიწყეს მოსვლა მაჩვისა და ყაშას სანახავად.

ჩვენს მოსვლამდე იმ ოჯახში თურმე დღე ისე გავიდოდა, კაცის ხმას ვერ გაიგონებდით, ახლა კი ახმაურდა იქაურობა, სიცოცხლე დაეტყო. თვითონ მეზობლებისაგან რამდენჯერ გავიგონე: ამ ბავშვმა მოხუცებს სიცოცხლე და ხალისი შემატა, მიჩუმებული სახლი გაამხიარულაო. მე, რა თქმა უნდა, მამხნევებდა ეს ქათინაური და უფრო მეტ სიკეთესა ვცდილობდი.

## სკოლისაკენ

უკვე მეშვიდე დღეა, რაც ამ სახლში ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ ეზოს არ გავცილებივარ. დავალება არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ უმეტესი დრო წიგნებში ვიქექები.

არ ვიცი ჩემ მიერ ასე უცბად გამომჟღავნებულმა წიგნებისადმი მიდრეკილებამ იქონია გავლენა, თუ ისე გადაწყვიტეს უფროსებმა, ერთ დღეს სადილის შემდეგ გამომიცხადეს, რომ სკოლაში უნდა მევლო.

მათ იცოდნენ, რომ მეხუთე კლასიდან ვიყავი გამოსული. მე ეს ახლაც გავიმეორე გულისტკივილით და თან დავსძინე: არ ვიცი, რამდენად შევძლებ შევასრულო თქვენი სურვილი, მე ხომ სამი წელი გამიცდა და ყველაფერი გადავიწყებული მაქვს-მეთქი.

— შეუძლებელი არაფერია თუ მოინდომებ! — დაბეჯითებით თქვა ოსტატმა.

— უმაგისოდ როგორ იქნება! — დაუკრა კვერი დიასახლისმა. — მე შენ ექიმად უნდა მოგამზადო, მარტო ჩემი შინაური წამლები რომ შეისწავლო, ისიც გეყოფა, ოღონდ განათლება მაინც საჭიროა.

მე უკვე გაგებული მქონდა, რომ მაიკო ბებიამ შინაური წამლებით მკურნალობა იცოდა, მათ შორის ბევრი ძალიან უებარი იყო და საიდუმლოდ შენახული ჰქონდა.

გადაწყვეტილება ჩემი სწავლის გაგრძელების შესახებ მეორე დღესვე სისრულეში იქნა მოყვანილი. დილით გაკვეთილების დაწყებამდე მიმიყვანა გოლა პაპამ სკოლაში.

— მგონი შესძლებს! — თქვა მასწავლებელმა შემოწმების შემდეგ, — დავუშვათ პირობით მეხუთე კლასში, დამატებით ჩემთან მოემზადოს და შედეგი რასაც გვიჩვენებს, ისე მოვიქცეთ.

ამის შემდეგ მასწავლებელმა ჟურნალი გადაშალა, ჩემი გვარი, სახელი და მამის სახელი იკითხა.

მე დავაპირე, უნდა მეთქვა, მაგრამ მოხუცმა დამასწრო:

— ჩორლაშვილი დავით მიხეილის ძე, — თქვა მან საჩქაროდ.

ამის გაგონებაზე პირი დავაღე — არც გვარი იყო ჩემი, არც სახელი და არც მამის სახელი, მოხუცმა მთლიანად თავის შემკვიდრეობაზე გადამიყვანა.

ისე ცუდად იმოქმედა ამ ამბავმა ჩემზე, რომ თვითონვე გამიკვირდა. სკოლა ხმაურით ივსება, ყოველი მხრიდან მოდიან ბავშვები და ჩემს ყურადღებას მაინც არაფერი იტაცებს. დასველებულ ბელურასავით მობუზღული ვდგავარ მეხუთე საკლასო ოთახის შესასვლელთან და ვფიქრობ ჩემთვის: რა იქნებოდა მე დამესწრო



ყაშას ყურძნის ქურდისათვის უკვე წირვა გამოეყვანა. რუმბივით გასიებულ მაჩვს აჯდა ზევიდან და კისერს უღრღნიდა.

გოლა პაპასთვის და მეთქვა ჩემი ნამდვილი გვარი და სახელი: გივი ლევანის ძე თათულიშვილი. ხომ ვერ შემედავებოდა ოსტატი მასწავლებლის წინ. ან რითია ეს გვარი იმ გვარზე ნაკლები?!

ეს ახლადმიღებული განწყობილება კიდევ უფრო გაუარესდა კლასში შესვლის შემდეგ. ის უხერხულობა, რომლისაც მასწავლებელს ეშინოდა ჩემი წლოვანებისა და ტანადობის გამო, მე თვითონ მაშინვე ვიგრძენი, როცა თითისტოლა ბავშვებში გავერიე. იმათთან შედარებით მერხზე დამჯდარიც კი მაღალი ვჩანდი. ამის გამო კლასში სამჯერ მაინც გადავინაცვლე ადგილი და მანამდე ვერ მოვისვენე, სანამ სულ ბოლოს არ წამოვსკუპდი.

სკოლიდან დავბრუნდი და მაინც ის ფიქრი მაწვალებს: რატომ, რისთვის შემიცვალა გოლა პაპამ გვარი და სახელი, ისე გამოდის, ახლა მე სულ სხვა ვარ, ვიდრე ვიყავი, ყაშა დარჩა იგივე რაც იყო. დღეიდან მე ამ სახელწოდებით გავალ ჩვენი ეზოდან უბანში, უბნიდან მთელ სოფელში და სოფლიდან კიდევ ვინ იცის სად...

ეს იყო სინამდვილე. მე ამის შეცვლა აღარ შემეძლო და რაკი ამ დასკვნამდე მივედი, ამოვიღე ჩემი ძველი მემკვიდრეობის ერთად-ერთი ნიშანი—წელმოწყვეტილი დანა და მის ტარზე მაიკო ბებიას ახლად ნაჩუქარი დანით ამოვკვეთე ჩემი ნამდვილი გვარი, სახელი, მამის სახელი და შევინახე.

ამის შემდეგ ჩავუჯექი ჯერ გაკვეთილებს და შემდეგ სხვა წიგნებზე გადავედი.

## მაიკო ბებიას წამლები

სწავლას დასიცხულივით ვიყავი მოწყურებული. გაკვეთილი ყოველთვის შესანიშნავად ვიცოდი და, მიუხედავად ამისა, კლასში შესვლა მაინც მეზარებოდა. თვითონ ამხანაგებიც მიქმნიდნენ ასეთ განწყობილებას თავისი უწნო შეძახილებით. ამიტომ მასწავლებელს კლასგარეშე მეცადინეობის დროს პირდაპირ ძალითა ვგლეჯდი გაკვეთილებს, ზედმეტსა ვთხოულობდი და ვამზადებდი ბეჯითად. აშგვარმა ცდამ და სურვილმა მალე თავისი შედეგი გამოიღო — ნახევარი წლის შემდეგ გადამიყვანეს მეექვსე კლასში.

ახლა უკვე თავისუფლად ამოვისუნთქე, რადგან იქ ხუთიოდე მოსწავლე მაინც აღმოჩნდა ჩემი სიმაღლისა და ორი კიდევ უფრო მაღალი. ამ უხერხულობის თავიდან მოშორების შემდეგ უფრო ხალისიანად დავეწაფე სწავლას.

მოხუცები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე, განსაკუთრებით მაიკო ბებია იყო აღტაცებული: ისეთი ექიმი უნდა გამოვზარდო, რომ დუნიაზე მსგავსი არ მოიძებნებოდესო, იტყოდა ხოლმე, თუ ვინმე ჩემს მომავალზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს.

მართლაც, თუ პირველ ხანებში უფრო მეტ დროს გოლა პაპასთან ვატარებდი და იმის მეკასრეობით ვიყავი გატაცებული, ახლა მაიკო ბებიამ გადამიბირა და თავისი ხელობა შემაყვარა—ტყეში თუ მინდორში ისე არ წავიდოდა,—სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად არ წავეყვანე.

ორი ჩანთა ჰქონდა სხვადასხვა ფერისა, ერთი დანა, ერთი მაკრატელი, ერთიც მცენარეების სათხრელი შუბისმაგვარი რკინა.

ჩაალაგებდა ამ იარაღებს, ერთ ჩანთას მე ამკიდებდა, მეორეს თვითონ აიკიდებდა და გამიძღვებოდა წინ. რომ მიდიოდა, თან იმ მცენარის სახელს ამბობდა, რომელსაც თვალს მოჰკრავდა და იცოდა მისი რამე სამკურნალო თვისება. მარტო სახელს კი არ ახსენებდა, არამედ ეალერსებოდა, ეტიტინებოდა, როგორც ბავშვს.

ასე გადიოდა თვეები...

— ყველაფერს თვალი მიატანე შვილო, ისწავლე ადგილები, სად რომელი მცენარე იზრდება, დაიხსომე გზები. მე დიდი დღე აღარ მიწერია, ჩემი ხელობა შენ უნდა გადმოგილოცო, გასწავლო საიდუმლო წამლები, ოღონდ აქედანვე უნდა იცოდე, საიდუმლოდ უნდა შეინახო, ქვის გული უნდა ჩაიდო, თუ ვისმე გაანდე, იცოდე წამალი გაწყალდება, ძალას დაჰკარგავს, აღარ გასჭრის. ასე მოდის ეს წამლები საიდუმლოდ მამა-პაპიდან...—და მომიყვა, თუ როგორ ასწავლა მას მისმა ბებიამ, ღრმა მოხუცებულობაში შესვლის შემდეგ, მათი დამზადება და გამოყენება.

— მე წამლებისთვის სად მეცლება, მაიკო ბებია, ინჟინერი უნდა გავხდე. – შევაპარე საცდელად, აბა რას იტყვის-მეთქი.

— რას ამბობ, შვილო! ყველაფერი წყალში უნდა გადამიყარო?!--თოფის წამალივით იფეთქა მოხუცმა და ისეთი ფერი დაედო, თითქოს გულზე ყინული გადაავლესო.

მე მაშინვე გამოვუტყდი, ვიხუმრე-მეთქი, პირობა მივეცი, ყველაფერს გავაკეთებ რაც გაგეხარდება, გავხდები ცნობილი მკურნალი ექიმი, გამოვიყენებ შენს წამლებს და შევებრძოლები ადამიანის მოდგმის ყოველგვარ ავადმყოფობას-მეთქი.

## საკუთარი გზა

ასეც მოხდა სინამდვილეში, საშუალო დავამთავრე თუ არა, სწავლა უმაღლესში განვაგრძე მედიცინის განხრით. შევუდექი მაიკო ბებიასათვის მიცემული პირობის შესრულებას.

ჩემმა უმაღლესში, წასვლამ ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში ერთგვარი ცვლილება მოახდინა. მე და ყაშა დროებით დავშორდით ერთმანეთს, ხოლო მოხუცები ისევ მარტონი დარჩნენ და დანაღვლიანდნენ... ახლა ჩვენ ერთიმეორეს მაშინღა ვხვდებოდით, როცა არდადეგებზე ჩამოვიდოდი. ამ დროს ჩვენი კარმიდამო ისევ ძველებურად ილვიძებდა და ხმაურობდა. ავყვებოდი ხან ერთსა და ხან მეორეს, უფრო მეტად მაიკო ბებიასთან ვიყავი. რადგან ჩემი მომავალი საქმიანობა მასთან მაკავშირებდა; ვეხმარებოდი წამლების დამზადებაში, ავადმყოფე-



მაიკო ბებია ერთ ჩანთას მე ამკიდებდა, მეორეს თვითონ აიკიდებდა და გამიძღვებოდა წინ. რომ მიდიოდა თან იმ მცენარის სახელს ამბობდა, რომელსაც თვალს მოჰკრავდა.

ბის მიღება-გასტუმრებაში. ჩვენი ამგვარი მუშაობა გაგრძელდა რამდენიმე ხანი, ხოლო მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ, ზაფხულში, სოფლად რომ ჩამოვედი, მაიკო ბებიამ თავისი „საქიმონი“ მე გადმომილოცა მთლიანად და გზამშვიდობისა მისურვა.

* * *

ამ სიკეთისათვის მის გასახარებლად მეორე დღესვე დილით ადრე ავკრიფე სამგზავრო ბარგი, მოვხსენი ჩემი ყაშა ჯაჭვიდან და გავუდექი გზას. მივდივარ გომბორის იალაღებისაკენ, იქით, საითაც მაიკო ბებიას დავყავდი ოდესღაც მცენარეების შესაგროვებლად.

სოფელს კარგა ზევით ავცილდით თუ არა, მცენარეებმა იქვე შემიბორკეს გზა, დამიყოლიეს თავისი ფერებით, სილამაზით და სურნელებით. ხან ერთი მეძახის თავისკენ, ხან მეორე. მეც ციბრუტივითა ვტრიალებ, ვამოქმედებ მაიკო ბებიას ნაჩუქარ პირმოცვეთილ იარაღებს და ამომაქვს მცენარეები ძირფესვიანად. ასე ნელნელა მცენარეების შეგროვებით შევყევით მე და ყაშა აღმა ხევებს, ფერდობებს, გორაკებს. საღამოს, მზის ჩასვლისას, პატარა სოფელს მოვკარი თვალი, თუ შეიძლება მას სოფელი ეწოდოს, რადგან სულ ხუთიოდე კომლი ჩანდა ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული.

გაგონილი მაქვს იმ ადგილებში ცხოვრობენ მთიდან გადმოსახლებული ფშავლები, ხევსურები, ისიც ვიცი, რომ მათ შესანიშნავად იციან სტუმრის მიღება. ამ ფიქრებით გართული მივუახლოვდი სოფლის წყაროს. ჯერ იმ წყაროს დავეწაფე, შემდეგ მცენარის ძირებისაგან გატალახიანებული ხელები დავიბანე. ის იყო, იქვე კლდეზე უნდა ჩამოვმჯდარიყავი, რომ ყაშა ყეფით წამოხტა.

გოგონა მოდიოდა წყაროსაკენ კოკით ხელში.

— ნუ, ყაშა, ნუ, ჩვენია! — მივაძახე ძაღლს და წინ ჩამოვეფარე.

შეელივით დამფრთხალი მივიდა გოგონა წყაროსთან.

— ღამის გათევა თუ შეიძლება თქვენს სოფელში, ან მწყემსები ხომ არ არიან სადმე აქ ახლოს? — ვკითხე მოკრძალებით ალვისტანას.

— მობრძანდით ჩვენთან, მწყემსებთან რა გინდათ? — მიმიპატიჟა მან და სავსე კოკა მხარზე შესადგმელად შეატრიალა.

არ დავაცალე, სახელურში ვწვდი, მე წამოვძღებმეთქი, და უფრო აწითლდა, არ დამანება.

ჩვენ შევედით სოფლის დასავლეთით ყველაზე განცალკევებული ორსართულიანი სახლის ფართო ეზოში. შესვლისთანავე საიდანღაც ყაშაზე უფრო უშველებელი ძაღლი გამოხტა. მათ ალიაქოთზე ჩემი მასპინძლის სახლიდან გამოვიდა ხანშიშესული, ოდნავ გაჭაღარავებული კაცი, ის პირდაპირ ძაღლებისაკენ გაქანდა ხელკეტიანი.

— ყაშა, ნუ, ყაშა! — მივაძახე მეც და წავედი გასაშველებლად.

მასპინძელმა თავის ძაღლს სტაცა ფეხში ხელი, მე — ჩემსას და სწრაფად გავაცალკევეთ.

— საიდან შეარქვით თქვენს ძაღლს „ყაშა?“ — იკითხა მან გაკვირვებით, თან ხელი ჩამომართვა.

ვგრძნობ, თითქოს ეს კაცი სადღაც შემხვედრია, განსაკუთრებით სახე და ხმა მეცნობა, მაგრამ მოგონებათა ბურუსიდან ვერ ვერკვევი. ერთი კიდევ ხმა ამოიღო თუ არა, ყაშა მივარდა კუდის ქიცინით.

— ძია შიოლ! — შევძახე მე.

ჩვენ მაშინვე გადავეხვიეთ ერთმანეთს და კარგა ხანს ასე ვიყავით უსიტყვოდ გაჩერებული.

— გია, ბიჭო, საიდან გაჩნდი აქ?! ამდენი ხნის შემდეგ რომელმა გზამ მოგიყვანა ჩემთან?! — მითხრა ალტაცებით. ცოტა ხანს ორივე ხელით მკერდიდან განზე გამწია. ხარბად შემომხედა და ისევ გულში ჩამიკრა უფრო ძლიერად.

ხელები რომ გამიშვა, თავი მაინც მის მკერდზე დამრჩა მიყრდნობილი, დავმუნჯდი, ღაწვები დამისველდა.

— ძია შიოლ! ეს რა ნატვრა ამიხდა! — ძლივს მოვახერხე ჯერ ამის თქმა და მერე ხმაც თანდათან მომიბრუნდა.

— მოდი, შვილო, მოდი, მიამბე შენი ამბავი,—გამიმეორა რამდენჯერმე და ხელჩაკიდებული წამიყვანა სახლისაკენ.

ახლაღა შევნიშნე, ჩემს წინ იდგა ახლად წვერულვაშაყრილი, ქერა, გამხდარი ბიჭი. ეს შვილი იქნება-მეთქი გავიფიქრე და მართლაც ასე გამოდგა:

— ლევან, დედას დაუძახე!—უთხრა სახლის უფროსმა და ისიც ნიავივით გაქანდა. ჩვენ ერთიმეორის ამბის გამოკითხვით სახლის მეორე სართულზე ავედით და იქ დაგვხვდა ჩემი ლამაზი მეგობარი.

— ეს გახლავთ ჩვენი ერთადერთი გოგონა—ლეილა,—გამაცნო ძია შიოლამ,—ორიც ვაჟი მყავს... უფროსი ჩემსავით მეცხვარეა, ამ ორს, ლევანსა და ლეილას, ახალმა დრომ მოუსწრო და სწავლას დაეწაფნენ.

ჩვენ ისევ აივანზე ვსაუბრობდით გატაცებით. ლევანი ქშენით ამოვარდა ზევით, მამას რაღაც აცნობა ჩუმად და მალე მას თან მოჰყვა მაღალი, ოდნავ ჭაღარაშერეული, ქერა, წაბლისფერთმიანი დედაკაცი.

— აი, ის ობოლი ბიჭი და მისი ყაშა, მაგდან, მე რომ ხშირად გიამბობდი,—მოუთითა ძია შიოლამ ჩემზე დიასახლისს.

მან ღონივრად ჩაბღუჯა ჩემი ხელი და თან ისეთი გრძნობით შემომხედა, რომ დედის სახე გამახსენდა.

— შენი ამბავი გულს მიდაღავდა შვილო, შიოლა რომ მიამბობდა ხოლმე,—დააყოლა ბოლოს,—მაგრამ ახლა რომ გიყურებ, ობოლს აღარა გავხარ, გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ.

ამგვარ მცირე ცნობებსა და ახალ მასპინძლებთან გაცნობას მოჰყვა ჩემი და ძია შიოლას ძველი გულის დუღილის გახსენება.

— სიავე არავის შერჩება, შვილო!—დააყოლა ღრმა ფიქრებში წასულმა ძია შიოლამ ჩემი თხრობის დასასრულს,—შენ რომ ბინიდან გაგაძევეს, იმ დღიდან წელიწადნახევრის შემდეგ მოხდა ჩვენი ქვეყნის შემობრუნება ახალი ცხოვრებისაკენ. ხალხის გამარჯვების ქარიშხალმა ისე აუწვა ბეჭები იმ ჩვენს ქვაწვია ცხვარბევრას, რომ ენა მუცელში ჩაუვარდა.

ხალხის ნაშრომი ისევ ხალხს უნდა დაუბრუნდესო, ხშირად გააგონებდნენ ხოლმე წინათ და მართლაც ასე მოხდა: ერთი მბღავანიც აღარ დაუტოვეს, ისიც წავიდა იმ ბინიდან, საიდანაც შენ გაგაძევა, იმ განსხვავებით, რომ შენ შენი ერთგული ყაშა მაინც მიგყვებოდა თან, ის კი სრულიად მარტო გაუდგა გზას.

ამ ბოლო სიტყვებმა გამახსენა ისევ ის ძველი ცხვრის ბინა და ის განთიადი, როდესაც გზაჯვარედინზე ვიდექი და ვეკითხებოდი საკუთარ გულს, თუ რომელი გზით წავსულიყავი.

ეს მოგონება რატომღაც უჩვეულოდ მემძიმა და ვცადე მისი მოშორება სხვა მოგონებებით.

თითქოს ძია შიოლაც მიმიხვდა ამ გულისწადილს, მალე ისიც წამომეშველა და ივრისპირზე მოჭრილი ჩემი სალამური გამახსენა...



# ზაფხული გურიანთაში

ორი პატარა ბიჭის—ორი ძმის შესახებ მინდა გიამბოთ. ისინი არაფრით არ განსხვავდებიან სხვა ბავშვებისგან—სწავლობენ, ცელქობენ. ზაფხულობით მზით დამწვარი ცხვირი ექერცლებათ, თავზე შინ მოქსოვილ, ჭილის განიერ ქუდებს იხურავენ და მაიხურებით დარბიან. გია ტუღუში მესამეკლასელია, ვანუსი ტუღუში მეხუთეკლასელი. გია ტანად პატარაა, მოლეული. დიდი ქუდი რომ არ ეხუროს, სულ დაჭფარავდა ჩაის ბუჩქი. ჩაის ბუჩქი რა შუაშიაო, იკითხავთ. აი, საქმეც ეს არის: ის სოფელი, სადაც გია და ვანუსი ცხოვრობენ, ჩაის პლანტაციებით არის განთქმული. თქვენ იქნებ არც გაგეგონოთ, ამ სოფელს გურიანთა



ვაშნარის ფართობისაკენ კიდევ ბევრი გვაქვს გასავლელი, აბა, დაუჩქარეთ!—აფრთხილებს მშვენიერი მეგობრებს.

მქვია. იგი მახარაძის რაიონის ერთ-ერთი სოფელია. აქ, რომელი ოდის აივანზეც არ უნდა ახვიდეთ, თვალი მაშინვე გურიის ულამაზესი მთებისაკენ გაგექცევათ. უფრო შორს ბახმაროს მთები ჰალარავდება. მშვენიერია ეს ლილისფერი მთები, მაგრამ მწკრივად ჩარიგებული ჩაის ბუჩქები განა ნაკლებ მშვენიერია? იგია, გურიანთას რომ შემოვლებია მწვანე რკალად. მერე და იცით, რა დიდი შრომის შედეგია ეს სილამაზე? გიამ და ვანუსიმ კარგად იციან ეს ყველაფერი. აბა, ჰკითხეთ ან ერთს, ან მეორეს, თებერვლისა და მარტის თვეში რა სამუშაოს ატარებენ კოლმეურნენი ჩაის პლანტაციებში! რარიგად უნდა გაისხლას ჩაის ბუჩქი! სასუქები როდის უნდა შეიტანონ! ანდა ჩაის შერჩევითი კრეფა როდის იწყება! გიაც და ვანუსიც ყველა კითხვაზე გამოცდილი მეურნეებივით გიპასუხებენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პროკოფი ბელიქანიძემ იმ დღეს დიდი ვაშნარის ნაკვეთშიც გადაიარა. აქ მეოთხე ბრიგადა მუშაობდა. იკრიფებოდა, კალათებში იყრებოდა, მიმღებ პუნქტში წამიწამ იწონებოდა ჩაის ლორთქო დუყები. დაოსტატებული თითები ციბრუტივით ტრიალებდნენ ჩაის ბუჩქებზე. სწრაფად, სწრაფად, თორემ გადაყრუვდება დუყები, მეორე ხარისხში წავა, დანაკარგად ჩაითვლება. ჩვენ კი სახელმწიფოს საუკეთესო ხარისხის ჩაის დავპირდით.

ვაშნარის ნაკვეთში პროკოფისათვის გურიანთას სკოლის დირექტორს—პატივცემულ ალექსანდრეს ჩაესწრო. ანდა სხვაგან რა გააჩერებდა, როცა აქ მისი მოწაფეებიც ტრიალებდნენ: გულნაზ და ზვარამზე პეიშვილები, ლამზირა ფლენტი, როლანდ ტოტოჩავა, ასია ალჯოიანი, მშვენიერ ლომთათიძე, გია და ვანუსა ტულუშები. მოდი და ნუ გაიღიმებდნენ გახარებული უფროსები—რომელ ბრიგადაშიც არ მივიდნენ, ყველგან პიონერები დახვდნენ. თუმცა ეს ახალი ამბავი არ იყო მათთვის: ჯერ ჩაის შერჩევითი კრეფაც არ დაწყებულიყო, რომ გურიანთელი პიონერები შეიკრიბნენ. გიამ და ვანუსიმ უკვე წინასწარ იცოდნენ, რა საკითხი იდგა რაზმეულის შეკრებაზე: შევქმნათ პიონერული ბრიგადები, დავეხმაროთ ჩაიში გასულ კოლმეურნეებს. აკი პიონერთა რაიონულმა საბჭომაც ახე მოუწოდა ბავშვებს: მოვკრიფოთ მაისის თვეში 30.000



ვნახოთ, ვინ გამოვა დღეს გამარჯვებული, მშვენიერ ლომთათიძე თუ მზია ტოტოჩავა? ჯერ კი ტოლს არ უდებენ ერთმანეთს გოგონები.

კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ეს ღონისძიებაც სახელოვანი კომკავშირის ორმოცი წლისთავს მიუძღვნეს პატარებმა. რაიონის რაზმეულთა შორის გამარჯვებულს გარდამავალი ალამი უნდა გადაეცეს. გიას, ვანუსის და მათ მეგობრებს გულით სურთ მათ რაზმეულს დარჩეს გარდამავალი ალამი. ამას ნატრობენ სხვა რაზმეულებიც. ვნახოთ, გამარჯვება ვის დარჩება. ჯერ კი კარგი პირი უჩანს მათ საქმიანობას. ივნისის გეგმა რომ 140 პროცენტით შეასრულეს გურიანთელმა მეჩაიეებმა, განა აქ პიონერების ხელიც არ ურევია? დღეს-დღეობით გიამ 300 კილოგრამი მოკრიფა უკვე, ვანუსიმ 400, ნაზი ტოტოჩავამ—400, რომა ალჯოიანმა 700, და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ კიდევ. ჩვენ ხომ მხოლოდ მეოთხე პიონერული რგოლის შესახებ გესაუბრებით. გურიანთას ჩაის ნაკვეთებში კი ხუთი ასეთი პიონერული რგოლი ტრიალებს.

გახარებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ასეთი შრომისმოყვარე პიონერები რომ ჰყავს სოფელს. ისინიც რომ იბრძვიან გურიანთას ღირსებისათვის. გაღიმებული მიაბიჯებს სხვა ნაკვეთისაკენ, გონებაში

ისევ პატარებზე ფიქრი უტრიალებს. არკი გადაილალონ ბავშვები, შრომის სიყვარული ერთია, მაგრამ გადაჭარბებაც არ ვარგა. აგერ, უკვე გაიხსნა გომის მთაზე რაიონული პიონერული ბანაკი, შავი ზღვის სანაპიროზე, ურეკთანაც, საცაა უნდა აღიმართოს პიონერული ანძა, იქ მოწინავე პიონერები აუცილებლად უნდა გაგზავნოს გურიანთამ.

— ეჰეი!—გასძახა ჩრდილიანში თავმოყრილ მეოთხერგოლელებს რგოლის ხელმძღვანელმა კომკავშირელმა ომარ კვაჭანტირაძემ.—გეყოთ დასვენება...

ისევ შეესია მარჯვე ხელები ჩაის, გადატყდა ნაზი დუყი, შრიალ-შრიალით წავიდა კალათისაკენ...

— თქვენ გაიხარეთ;—ულიმის ჩაის მიმღები პუნქტის გამგე პატარებს და წონის, ახარისხებს ჩაის, ახვავებს ფარდულის კუთხეში. ფარდული ყავრითაა გადახურული, კარ-ფანჯარა ღიაა, ისე, რომ ჰაერმა თავისუფლად იბრუნოს ოთახში, დუყი არ მოხუთოს. უცნაური თვისება აქვს ჩაის ფოთოლს: დახვავდება



ჩაის ამწონ პუნქტში ყველაზე გვიან გია ტუღუშმა შემოირბინა სულ პირველ ხარისხში მიდის მისი მოკრეფილი ჩაი.

თუ არა, საამურ, თავბრუდამხვევ სურნელებას აუშვებს, ჰოდა, პუნქტშიც ეს ნაზი სურნელება ტრიალებს. მოდიან რაიონის ცნობილი მკრეფავები, სცლიან ხვავიან კალათებს, მოდიან პიონერები, სიცილით, ჟრიამულით. თვალი სასწორისკენ მიურბით—ვინ უფრო მეტი მოკრიფა, ვისი ჩაი უკეთესია. ვანუსიც აქ ტრიალებს, გიაც აქ შემორბის, ჟორაც, ხვარამზეც...

უყვართ გურიანთელებს ეს ბავშვები, ბეჯითები, გულისხმიერები. მარტო ჩაის კრეფაში კი არა, სხვა საქმეებშიც გამორჩეულნი: ეს მერამდენე წელია, მათი მზრუნველი ხელი დატრიალებს სამამულო ომის გმირის—ვასილ კვაჭანტირაძის საფლავს, მათი თვალი არ აკლია მის ოჯახს და განა მარტო მის ოჯახს. სამამულო ომში დაღუპულთა ბევრი სხვა სახლობაც ემადლიერება პატარებს. სწორედ ისინი არიან რაიონში შაბათობის მოთავენიც. არც ისე შორს არის გურიანთადან ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა. შაბათობაზე მისული გურიანთელი პიონერები მრავალ, ერთის შეხედვით წვრილმან საქმეში ეხმარებიან ფაბრიკის მუშებს—ჩაის გადახარისხებაში, გადა"იდვაში, ყუთების შეჭედვა-შეკეთებაში.

ამიტომ, გურიანთელი ხარ თუ სტუმრად ჩასული, ძნელია გულგრილად მოეკიდო მათ, არ შეიყვარო, არ შეითვისო. გინდა ყველას უამბო მათ შესახებ, მათი წარმატებით გაახარო. როცა გიას და ვანუსის ვთხოვეთ, რაიმე ეამბნათ ჟურნალ „პიონერის" მკითხველებისათვის, ამ ცელქმა ბიჭებმა თავი მორცხვად ჩაღუნეს. უფროსი ჩაის ბუჩქზე დაიხარა, უმცროსი კი ტუნგოს ხეს ამოეფარა. ასე გასინჯეთ, ფოტოკორესპონდენტმაც ვერ მოახერხა მათი ფირზე გადაღება.

ბინდდებოდა, დამორცხვებული ბიჭები კი უფრო გაჯიუტდნენ. ბოლოს ფოტოკორესპონდენტმა ხელი ჩაიქნია—გადასაღებად მაინც საკმარისი განათება აღარ არისო.

აღარ ჩავაცივდი, გამოგიტყდებით, გულში მომწონდა ძმების თავმდაბლობა. კარგ საქმეს ყოყოჩობა არ უნდა ახლდეს.

უფროდაუფრო ჩამოწვა ბინდი, ჯერ აღივლივდნენ, მერე ჩამუქდნენ მთები, ნისლი მოიხვია ბახმარომ.

მიდიოდნენ, მიიმღეროდნენ, მისაუბრობდნენ ჭილისქუდიანი მეოთხერგოლელები.

ძილი ნებისა, მეგობრებო!

Ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

ფოტო გ. შენგელიასი



გათავდა დღევანდელი დღე, დაჩუმდა ჩაის პლანტაცია. ახლა ხის ჩრდილში ჩამოსხდნენ მეოთხერგოლელები.

# მამა და შვილი

## ვიქტორ გაბესკირია

ნახ. კ. მახარაძისა

I

ძველად ერთ რუსულ სოფელში,
პეტრეს ქალაქის მახლობლად,
თავისთვის, მშვიდად, ტყის პირას
ერთი ქართველიც სახლობდა.

ცოლ-შვილით ტკბილად ცხოვრობდა,
ყველა კარგ კაცად იცნობდა,
გულჩათხრობილი რათ იყო,
ეს კი არავინ იცოდა.

გიორგი, რვა წლის ბიჭიკო,
უყვარდა, თავს evლებოდა,
დასვამდა, საქართველოზე,
ძველ ამბებს მოუყვებოდა.

გოგიც ტკბილად ყურს უგდებდა,
ჩვეულებრივ არ აცრობდა...
მამა მას განა ძველ წარსულს
თავის სოფელსაც აცნობდა.

რიონის პირას არისო,
ოდესმე ვენახებითო
დაბურულს ცაცხვის ხეებით,
დაბურულს ვენახებითო.

II

ამოვიდა მთვარე... სოფელს
ჩრდილი ტყისა მოჰფენია.
დათოვლილი, გარინდული
ეს რუსული სოფელია.

დასტრიალებს ქარი ირგვლივ,
ხეებს არხევს და თოვლს ფანტავს;
ქარს ფიფქები ქოხის ვიწრო
ფანჯრებზედაც მიუხატავს.

ქარი ისე წივის, ყინავს,
თოვლიც ზოგჯერ ისე ცვივა,
რომ იფიქრებ: ქოხებიდან
გამონაკრთობ შუქსაც ცივა.

ზოგჯერ სოფელს სტოვებს ქარი,
ტყის მახლობლად შფოთავს, გმინავს.
სძინავს სოფელს, მაგრამ ახლა
აქ ერთ ქოხში აღარ სძინავთ.

აღარ სძინავთ მშობლებს, მაგრამ
ჩვენი გოგიც ფხიზლობს ამ დროს,
და ყურს უგდებს: მამამისი
საიდუმლოს როგორ ანდობს

შემკრთალ დედას. მამა ჩუმად
საიდუმლოს ამგვარს ჰყვება,
რომ ხვალ დილით პეტროგრადში,
დაიწყება აჯანყება,

რომ რიყრაყზე მშრომელები
დარაზმულნი უნდა აღსდგნენ
ძველი ქვეყნის, მეფის ტახტის,
მტარვალების წინააღმდეგ.

ის წამოდგა, ტანთ ჩაიცვა,
ემზადება წასასვლელად,
და ქარი კი თოვლის ნამქერს
კვლავ ატარებს მინდორ-ველად.

როს ფანჯარას კვლავ მოაწყდა
დათოვლილი შტონი ხეთა,
მან უეცრად მძინარე ბავშვს
სიყვარულით გადახედა.

„მშვიდობითო“ თქვა და მტკიცედ
მოიხურა ქოხის კარი,
გაჰყვა გზას და თანამგზავრად
აედევნა ცივი ქარი.

მიდის იგი და ნამქერში
გზას მიიკვლევს, ხუჭავს თვალებს,
მიდის მგზავრი და ამ გზაზე
ერთი ფიქრი უტრიალებს,

რომ მივიდეს დანიშნულ დროს,
თავის რაზმში გამოცხადდეს
და ძველ ქვეყნის წინააღმდეგ
მებრძოლთ შორის ისიც ჩადგეს.

იქ კი, ქოხში, როცა გოგი
მამის საწოლს გადახედავს,
„სად წასულა მამაჩემი?“
როცა ბავშვი ჰკითხავს დედას,

ეტყვის: „შვილო, ვინაც ქვეყნად
დაამკვიდრა გესლი, შური,
ვინაც დღიდან გაჩენისა
მოგვანატრა ლუკმა პური,



ვისაც ხალხის საჩაგრავად
შავი აზრი, საქმე შველის,
ვინც მონობის ქვეშ გვამყოფებს,
იმას ებრძვის მამაშენი!“

ისმენს გოგი დედის სიტყვას,
თან თავისთვის ფიქრობს ასე:
ო, ნეტავი, მეც შემეძლოს
სიარული ამ ბნელ გზაზე!

რომ ჩავიდე დედა-ქალაქს,
სადაც დგანან სასახლენი;
ო, ნეტავი ვიყო დიდი,
რომ მოვკიდო მეც თოფს ხელი.

აღარ სძინავს, ფიქრებს გაჰყვა,
ბავშვი კედელს ეკვრის თრთოლვით
გარეთ კი კვლავ წივის ქარი,
ისევ თეთრად მოდის თოვლი.

7556

მამამისი ამ დროს უკვე
ხედავს პეტრეს ლამაზ ქალაქს,
დაღლას არ გრძნობს და, პირიქით,
შეემატა თითქოს ძალა.

აი უკვე, ქალაქშია,
მიდის, ქუჩებს, სახლებს გასცდა,
მიდის ფრთხილად, შეუმჩნევლად
იგი ერთ დიდ ქარხანასთან.

შეეგება გზაზე ხალხი,
ვინაობა გამოჰკითხეს,
და, რა მისცა მან ნიშანი,
თავის რაზმზე მიუთითეს.

ისიც იქით მიდის ფრთხილად,
ფეხაკრეფით, როგორც ჩრდილი;
ნახა: მისებრ მუშა-ხალხი
სანგრებშია გაწოლილი.

თავი ისე უჭირავს მას,
ვით ბრძოლაში გამოწრთობილს,
სანგრებისკენ გაეშურა
ისიც, როცა მისცეს თოფი.

ხედავს: ბრძოლის მოლოდინში
ყველას სახე მოუღუშავს,
ჯარისკაცებს, მეზღვაურებს,
პუტილოვის ქარხნის მუშას.

სძინავთ მეფის სასახლეებს,
მდიდართ მეფურ სახლებს სძინავთ,
ბნელ ღამეში ყვითლად მხოლოდ
ფანჯრებიდან შუქი ბრწყინავს.

მაგრამ უცებ მძიმე ღამე
თითქოს მეხმა შეარყია...
ეს ზარბაზნის ყუმბარაა
სიჩუმე რომ გაარღვია.

ცეცხლთან ერთად სასახლეებს
მოეხვიათ შიში, ძრწოლა;
ყველგან ხალხი გამოსულა,
ყველგან იწყო ხალხმა ბრძოლა.

ჰა, რიყრაყმაც მოაღწია,
გადმოჰკიდა დროშა ციდან,
ალისფერი დროშა ყველგან
ყველა სახლმა გადმოჰკიდა.

მეფის დიდი სასახლენი
წითელ დროშებს დაუფარავს;
მზეც ხომ წითელ დროშით ამკობს
ნისლისა და ღრუბლის კარავს!

ქუჩებს ყველგან მოჰფენია
ხალხი, დიდი თუ პატარა,
განახლებულ ქუჩებში მათ
სიხარული დაატარებთ.

და ამ ხალხში ერთი ბავშვიც
დადის თითქოს ობლად, მარტო;
მასაც ხიბლავს ეს ზეიმი,
მასაც დროშის ქროლვა ართობს.

ეს პატარა გიორგია,
გზაზე სულ მთლად დათრთვილულა,
მაგრამ მამის სანახავად
აქეთ მაინც წამოსულა.

დაჰქრის ავტო ტყვიამფრქვევით,
სიმღერებში რეკავს ზარი.
აკვირდება: იმათ შორის
მამაჩემი ხომ არ არის?

სიხარულის სიმღერებით
მშრომელების მოდის ჯარი,
„იმათ შორის მომღერალი
მამაჩემი ხომ არ არის?“

დადის ბავშვი, ხალხს დაჰყვება,
ყველგან ტაში, ყველგან ქარი!
ყველგან დროშა და სიმღერა,
მამამისი არსად არის!

ო! ერთ ქუჩის მოსახვევში
ხედავს, ხალხი დგას მრავალი,
მათში მტირალ სახეებსაც
ბავშვმა უცებ მოჰკრა თვალი.

ის მიდის და ხედავს სახლებს,
ქვის ლობეებს ჩამონგრეულს,
ხედავს მიმოფანტულ ვაზნებს,
ქალებს, ბავშვებს ცრემლმორეულთ.

მიხვდა, იგრძნო, რომ აქ წუხელ
ხალხის შვილნი დახოცილან,
კვნესა ისმის, მზის სხივნი კი
კვლავ კიაფით ცვივა ციდან.

გოგის თითქოს ტანმა უგრძნო,
ისიც დადის მთლად შემკრთალი,
და ერთ ბარიკადთან მამას
ბავშვმა უცებ მოჰკრა თვალი.

მიწაზე წევს ის სხვებს შორის
მკრთალი, თვალებდახუჭული,
აღარ სუნთქავს, მაგრამ მაინც
რად ემჩნევა სიხარული?!

წევს მშვიდად და თავქვეშ უდევს
მამას თოფი—რკინა ცივი;
წევს პირაღმა, მზე ეფრქვევა,
ისიც თითქოს მზეს უცინის.

აი, თითქოს შეირხაო,
ნაცნობი ხმა გაიგონა,
როცა ბავშვი გაციებულ
მკერდზე მამას დაეკონა.

ბავშვის ტანჯვა და წუხილი
იქ მყოფთ ყველას შეუტყვია,
მამას და შვილს თანაგრძნობით
ხალხი ირგვლივ დაეხვია.

სიყვარულით ეპყრობიან,
გოგიც არსად არ იჩქარის,
ვინ თქვა, ქარი უგულოა,
მათთან ერთად მოსთქვამს ქარიც.



არაპ ყურბანოვი

ნახ. გ. თოთიბაძისა

# ყაყაჩოები

ღამით ქარიშხალი იყო. კოკისპირულმა წვიმამ გარეცხა ქუჩები, სახლები და ხეები. დილით ყველაფერი გაშრა, მხოლოდ ახალგაშლილ, მკვეთრ-მწვანე ფოთლებზე გუშინდელი წვიმის წვეთები ბრწყინავდა.

დილაადრიან დიდები სამუშაოდ მიეშურებიან, ბავშვები კი სკოლაში. აი, ჩემს წინ ორი ბიჭუნა მიდის ჩანთების ქნევით. მათი მხიარული სახეები, მათი მარდი სიარული მაგრძნობინებს, რომ მათი გულიც ისეთივე სპეტაკია, როგორც ეს გრილი დილა. და რატომღაც სურვილი მებადება, გავიგო რაზე ლაპარაკობენ. საინტერესოა, ვისთვის მიაქვთ ეს ყვავილები. ხელში ორივეს წითელი ყაყაჩოები აქვს.

მე კი მეგონა, რომ ყაყაჩოები უფრო გვიან ყვაოდა. მას შემდეგ დიდი ხანია, რაც მე ბიჭუნა ვიყავი, კიდეც დამავიწყდა ყაყაჩო როდის ჰყვავის!

ანაზდად ის დრო მაგონდება, როცა მინდორში ყაყაჩოების დასაკრეფად დავდიოდი. ჩვენ მივდიოდით ქალაქიდან ჩრდილოეთით, იმ ადგილას, რომელსაც დიქეაუში ჰქვია. გაზაფხულზე იქ აუარებელი ყაყაჩოები იყო, ბალახიც ხშირი და მაღალი იზრდებოდა. სამხრეთით რომ გეცქირა, დაბინდებულ შორეთში დაინახავდი აშხაბადსა და კოპეტ-დაგის ღრუბლების მსგავს, ვარდისფერ ქედებს. როდესაც ჩვენ მწვანე ბალახში წითელ ყაყაჩოს თვალს მოვკრავდით, ისე გვიხაროდა, თითქოს ოქრო გვეპოვნოს.

აი, რა დრო მომაგონა ბიჭუნების ხელში დანახულმა ყაყაჩოებმა.

უცებ ვხედავ, უმცროსი ბავშვი, რაც ძალა და ღონე აქვს, გარბის, უფროსი კი მისდევს. ყველა მოხიარულეს წინ უსწრებენ, ისე სწრაფად გარბიან, თითქოს ერთმანეთს რბენაში ეჯიბრებიან. ხომ არ წაიჩხუბნენ და ხომ არ დასცხებენ ერთმანეთს, როცა უფროსი პატარას დაეწევა?

მეც ნაბიჯს ავუჩქარე, თუ რაიმე მოხდა, მოჩხუბრები რომ გავაშველო. მაგრამ, მოულოდნელად, ყველაფერი მშვიდობიანად და კეთილად დაბოლოვდა. ვხედავ, წინ მსრბოლი ბიჭუნა როგორ გაჩერდა მაღალი, შავგვრემანი კაცის წინ, რომელსაც ჰილის ქუდი ეხურა, და მას ყვავილები მიართვა. მეორე ბავშვიც ასევე მოიქცა. ჰილის ქუდიანმა შავგვრემანმა მამაკაცმა აქოშინებულ ბავშვებს ხელები შემოხვია და გაღიმებული რაღაცას ეუბნება.

მე კი თვალებგაფართოებული ვუცქერი ამ დარბაისელ ადამიანს. მაშინვე ვიცანი, მაგრამ ისე დავიბენი, რომ ხმა ვერ ამოვიღე. ვდგევარ, სულელურად ვიღიმები და თავს ვგრძნობ ისეთივე ბიჭუნად, როგორც ეს ყვავილებიანი ორი ბავშვია.

მან კი ვერ მიცნო! რა გასაკვირია: იმდენი წელია გასული! ერთი შემომხედა, როგორც უცხოს, და გვერდი ჩამიარა, ბავშვები მკლავზე ხელს ჰკიდებენ და რაღაცას ეკითხებიან, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან, იგი კი ხან ერთს, ხან მეორეს პასუხობს. ასე მიდის სამი ადამიანი—ერთი მაღალი, რომელსაც ორი ბავშვისთვის მხრებზე ხელები შემოუხვევია,—მე კი ტროტუარზე ვდგევარ და მიმავალთ გავცქერი...

მაგონდება ერთი დღე...

ჩემ ცხოვრებაში პირველად შევაღე სკოლის კარი. ყველაფერი საოცრად, არაჩვეულებრივად მეჩვენებოდა: დიდი სასკოლო დაფა, რომელიც მზის სხივებისაგან ბრწყინავდა, თეთრი ცარცი, მერხები, რომლებსაც ახალი საღებავების სუნი ასდიოდა, ზარის წკრიალიც კი, სასიამოვნო და ამაღელვებელი...

მასწავლებელი სკოლაში შემოვიდა, იღლიაში აუარებელი წიგნი ამოედო. უნდა მოგესმინათ, როგორი სიხარულით დავიწყეთ ყვირილი: „მასწავლებელი წიგნებს დაგვირიგებს!“ თუმცა ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ყოველი ჩვენგანი წიგნს მიიღებდა, მაგრამ მოთმინება არ გვყოფნიდა: გვინდოდა მასწავლებელთან მივვერბინა და ხელიდან წიგნი გამოგვეგლიჯა!

მასწავლებელი ჯერის მიხედვით ანაწილებდა. დაიწყო პირველი რიგიდან და ყოველ მერხზე ორ-ორ წიგნს დებდა. ბავშვები ხარბად სტაცებდნენ ხელს, მაშინვე იწყებდნენ კითხვას და სურათების თვალიერე-

ბას. მე კი ბოლო მერხზე ვიჯექი და ყველაზე უფრო ვიტანჯებოდი. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, აღელვებისაგან ოფლიც კი დამასხა.

„ახლავე! ახლავე!—ჩემს თავს ვამშვიდებდი,— ჩემი ჯერიც მალე მოვა, მეც მივიღებ წიგნს!“

ბოლოს მასწავლებელი ჩემს მერხთანაც მოვიდა და წიგნი დადო. ერთი ორისათვის! ჩემმა ამხანაგმა ანვარმა წიგნი მაშინვე თავისკენ გასწია.

მასწავლებელმა თქვა:

— ერთი თქვენთაგანი უწიგნოდ დარჩა. დღეს ერთი წიგნით ისწავლეთ, ხვალ კი მეორესაც მოვიტან.

ანვარს წიგნი თავის წინ ედო, მე კი მინდოდა ჩემი ნახევრისაკენ გადმომეწია. მე ხელი ჩავავლე წიგნის ყუას და მოვწიე. ანვარს წიგნი ორივე ხელით მაგრად ეჭირა. ერთ ხანს ერთმანეთს ჩუმად მუჯლუგუნებს ვკრავდით და ვცდილობდით ერთი მეორისთვის ხელიდან წიგნი გამოგვეგლიჯა, სანამ მასწავლებელმა მკაცრად არ გვითხრა:

— აბა, მომეცით წიგნი!—გამოგვართვა წიგნი და მერხის შუა ადგილას დადო.—აი, ასე იკითხეთ. ვფიქრობ, აღარ იჩხუბებთ.

ეს მშვიდი სიტყვები ნამდვილად სილის გარტყმა იყო ჩემთვის, გავიფიქრე, წიგნი არასოდეს არ მექნება-მეთქი. იმ წუთს რა უბედურად, რა უმწეოდ ვგრძნობდი თავს! უნებურად თვალებზე ცრემლი მომადგა და წიგნის თეთრ გარეკანს დაეცა.

— შენ, მგონი, წიგნის გაფუჭება გინდა?—შედიდურად მითხრა ანვარმა და წიგნი თავის ნახევრისკენ გასწია.

აქ კი თავი ველარ შევიკავე და ავზლუქუნდი. მრცხვენოდა ჩემი ცრემლებისა, მაგრამ თავის შეკავებაც ვერ მოვახერხე. მერხზე შუბლით დავემხე და გოგონასავით ვღრიალებდი. მერე ვიგრძენი, რომ ვიღაც თავზე ხელს მისვამს, თავი ავწიე. მასწავლებელს ჩემ ცხვირწინ წიგნი ეჭირა.

— გამომართვი ეს წიგნი! ჩემ საკუთარ წიგნს გაძლევ,—წიგნი პორთფელიდან ამოიღო და ღიმილით მითხრა,—მე როგორმე უწიგნოდ იოლად წავალ...

ტირილი მაშინვე შევწყვიტე. ორივე ხელი ვტაცე სულ ახალ, მშვენიერ წიგნს. იმ დღეს მრავალჯერ გადავფურცლე იგი თავიდან ბოლომდე! ყოველი სურათი, ყოველი სულ პატარა ნახატი დიდი მნიშვნელობის მქონე მეგონა და შემეძლო მთელი საათობით თვალი არ მომეშორებინა. მახსოვს, პირველად როგორ ვისწავლე ლექსი: „ყიყლიყო მამალო, ოქროსბიბილოვანო.“ ხმამაღლა ვკითხულობდი, ნამდვილი მსახიობივით ვიქნევდი ხელებს. მასწავლებელი ძალიან კმაყოფილი დარჩა. ერთხელ კი სკოლაში ისე მივედი, რომ გაკვეთილი არ მისწავლია, და მასწავლებელმა მთელი კლასის წინაშე გამკიცხა...

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ხეები ოცდახუთჯერ დაიფარა კვირტებით, ოცდახუთჯერ დასცვივდა ფოთლები. იმ პირველი წიგნის შემდეგ ბევრი წიგნი წავიკითხე და იმ მასწავლებლის შემდეგ ბევრი მასწავლებელიც მყავდა.

რასაკვირველია, ყველა წიგნი, რომელიც მერე წავიკითხე, „დედაენაზე“ უფრო ღრმააზროვანი და საინტერესო იყო, მასწავლებელთა შორისაც იყვნენ ჩემ პირველ მასწავლებელზე განათლებული ადამიანები... და მაინც არცერთ წიგნს არ შეუძლია ჩემს გულში „დედაენის“ ადგილი დაიკავოს, ვერც ერთი მასწავლებელი ჩემს ხსოვნაში ვერ წაშლის იმ ადამიანის სახეს, რომელმაც პირველად მომცა ხელში წიგნი და კითხვა მასწავლა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ეს წიგნი არ შემრჩა. იგი ჩემს ბავშვობაში შემოიჭრა როგორც ელვა, როგორც თეთრი ფრინველი და გაჰქრა სამუდამოდ...

ჭილისქუდიანი კაცი ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. მაშინვე ვიცანი, თუმცა თმები გაჭაღარავებია, ხმელი სახე კი ნაოჭებს დაუფარავს. მაგრამ თვალები კი ისევ ისეთი შერჩენია: მასწავლებლის კეთილი, საყვარელი თვალები. ოჰ, როგორ ვნანობდი, რომ ბიჭუნებს არ ვკითხე მაშინვე: ვისთვის მიჰქონდათ ეს ყაყაჩოები? და ასე სულელურად რად ვსდუმდი, იმის მაგივრად, რომ მხიარულად მივსალმებოდი ჩემს მასწავლებელს, რომელიც გულიდან არასოდეს არ ამომიშლია.

მასწავლებელი და ორი ბიჭუნა უკვე მოეფარნენ მოსახვევს, მე კი ვიდექი ტროტუარზე და ვიცქირებოდი შორს—ჩემს ბავშვობაში...

თარგმნა **იროდიონ ძამუარაძემ**





ნახ. ზ. ლეჟავახი

# საშემოდგომო გამოცდა

უიმედო ფიქრებს დაეჩრდილა დედის შუბლი.

ბავშვი დილის ცხრა საათზე წავიდა სკოლაში და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნაშუადღევის სამი სრულდებოდა, ჯერ კიდევ არსად ჩანდა.

„ჯიუტი ბიჭი! — ფიქრობდა დედა. — ჯიუტი!... წაყოლაც არ ინება — საქმეს გამიფუჭებო. მთელი ზაფხული, ალბათ, წიგნი ხელში არ აუღია, გამოცდაზე კი უპატრონოდ მიდის! დანიშნულ დროზე გამოცხადებით ვალს მოიხდის, მეტი არაფერი!... ბრიყვი!... ერთი თვე მაინც რომ გამეტარებინა მასთან ერთად, იქნებ როგორმე მოვამზადებინებდი საგანს, ახლა კი“...

დივანზე სიფრიფანა კაბით წამოწოლილს მკერდი მოშრიალე ვენტილატორისათვის მიეშვირა და მთელი ყურადღება დერეფნისაკენ მიემართა, საიდანაც ბავშვი უნდა შემოსულიყო.

„უკვე მიიღო, ალბათ, ორიანი, — განაგრძობდა ფიქრს, — შეურიგდა ბედს და ამხანაგებთან ერთად დახტის, მხიარულობს; ოდნავადაც არ ადარდებს, რომ ერთი საგნის გულისთვის მთელი წელიწადი უნდა გაუცდეს“.

დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა.

დედა მიხვდა, რომ, ეს მისი ვაჟი უახლოვდებოდა ოთახის კარს და შესახვედრად მოემზადა: წამოჯდა, ფეხები ძირს ჩამოაწყო და ჩამოშლილი თმა შეისწორა, რატომღაც მოეჩვენა, რომ ბავშვი მოწყენილი ბრუნდებოდა შინ: მშიერი, მოღლილი, განაწამები.

ბავშვმა სახელური დაწია და მუხლი მოარტყა კარს. მისი თვალები ღიმილით შეხვდნენ დედის თვალებს. დედამ რაღაც სასიხარულო იგრძნო შვილის საზეიმო გამომეტყველებაში და სიამოვნებით გაღიმებულმა რაღაცის შეკითხვა დააპირა, მაგრამ ბავშვმა დაასწრო:

— ჩავაბარე, დედი!

— მართლა, შვილო? მოდი გენაცვალე! — ალერსით მიმართა დედამ, გადაკოცნა და გვერდით მოისვა. — იმედი არა მქონდა, რომ ჩააბარებდი. ადვილი კითხვები შეგხვდა?

— არც ადვილი, არც ძნელი! — მხიარულად წარმოთქვა ბიჭმა.

— მაშ, როგორ?

— როგორ და, მასწავლებელმა ისე დამიწერა ნიშანი.
— რას ამბობ, ბიჭო, როგორ თუ ისე დაგიწერა?!

— გახსოვს, გიამბობდი: სოფელში მოსწავლეთა რგოლი გვქონდა ჩამოყალიბებული და კოლმეურნეობას ვეხმარებოდით-მეთქი?!

— მერე, მაგისთვის მოგიმატეს ნიშანი?

— ჰო, მაგისთვის. თითქმის მთელი საათი დავრჩი სამასწავლებლოში და ამ ხნის განმავლობაში სულ ჩვენი სოფლის ცხოვრების ირგვლივ მეკითხებოდნენ. რომელი მარცვლეული კულტურები მოყავს თქვენს კოლმეურნეობასო, რა და რა სასუქები შეაქვთ სიმინდისა და პურის ყანებში, და რა დროსო; რამდენჯერ თოხნიან სიმინდს და კარგია თუ არა სიმინდთან ერთად ლობიოს თესვაო, მკითხეს ვენახზე, ხეხილზე, თესლთა ბრუნვაზე და ბოლოს ისიც კი — ბებიას რა ეთესა ბოსტანშიო. — სიცილით დაამთავრა ბავშმა.

— შენც პასუხობდი!

— რატომაც არ ვუპასუხებდი. მე თვითონაც ვმუშაობდი, თანაც აგრონომი ხშირად იყო ჩვენთან, ათას რამეზე გვქონდა საუბარი.

— მერე რა ნიშანი დაგიწერეს?— დაეჭვებით ჰკითხა დედამ.

— რა დამიწერეს არ ვიცი, მაგრამ, როცა მითხრეს თავისუფალი ხარო და მასწავლებელს ვკითხე როდის მიმიღებთ-მეთქი გამოცდაზე, გაეცინა და თვითონ კლასის ხელმძღვანელმა მითხრა: „წადი, წადი, საგანი ჩაბარებული გაქვს. ოღონდ შემდეგისათვის უკეთ ისწავლე, თორემ კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო“. მე თვითონაც ვერ მივხვდი რატომ მომექცნენ ასე. მაგრამ ის კი გავიგე, რომ გამოცდა აღარ მჭირდება და გახარებული გამოვედი გარეთ.

დედამ კვლავ დაეჭვებით გადააქნია თავი და ჩაფიქრდა.

ბავშმა უნდოდ შეხედა მას. ახლადგაპარსულ თავზე ხელი გადაისვა და ჩაფიქრდა: ვაი თუ იმავე კლასში მიპირებენ დატოვებას და მისთვის მომატყუესო.

არც დედას, არც შვილს, აღარ ახსოვდა, რომ ბოტანიკა არის საგანი, რომელიც სწავლობს მცენარეთა სამყაროს, ხოლო სიმინდი, ხორბალი, ლობიო. ვაზი და სხვანი — მცენარეებია.

**შ. ციხისელი**





## ნიკო კეცხოველი

«1911 წელს ქართულ საბავშვო ჟურნალ «ნაკადულის» რედაქციაში მაღალი, გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი შემოვიდა და თავისი პირველი მოთხრობა მოიტანა»,—იგონებს თქვენი საყვარელი მწერალი—ნინო ნაკაშიძე.

ეს ყმაწვილი ნიკო კეცხოველი იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ნიკო კეცხოველმა დაამთავრა ქართული გიმნაზია, უნივერსიტეტი, გამოვიდა ფართო სამეცნიერო სარბიელზე, გამოაქვეყნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი და ამასთან დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. მაგრამ მას არ მიუტოვებია ჭაბუკობაში დაწყებული საქმე და აგერ, ორმოცი წელია, გულმოდგინედ ემსახურება საბავშვო ლიტერატურის კეთილშობილურ საქმეს. მშობლიური ბუნების სიყვარულმა, რაც ბავშვობიდანვე თან დაყვა მწერალსა და მეცნიერს, დააწერინა მას შესანიშნავი საბავშვო მოთხრობები ბუნებაზე. რომელ თქვენგანს არ წაუკითხავს მისი წიგნები: «მზიანი დღის ყვავილები», «უცნაური მცენარეები», «ველური ხილი», «თოვლიან ბუნებაში», «მთა და ბარში».

მსუბუქი, ლაღი ქართული ენით წერს ავტორი ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ბუნებაზე. ლაპარაკობს ადამიანთა თავდადებული ბრძოლის შესახებ ბუნების საიდუმლოების შესაცნობად და ამას აკეთებს ისეთი გულწრფელობითა და საქმის ცოდნით, რომ ძნელია ბუნების მოტრფიალე არ გახდე, არ შეიყვარო ამ წიგნების გმირები.

ნიკო კეცხოველი ადრე ჩაება საზოგადოებრივ შრომაში. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტს, იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი. ნიკო კეცხოველი რედაქტორობს მრავალ მეცნიერულ გამოცემას. ახალგაზრდობაში თვითონ სპორტსმენი, ფიზკულტურისა და სპორტის დიდი ენთუზიასტია. 1945 წლიდან იგი სათავეში უდგას საქართველოს ალპინისტთა სექციას.

ახლახან ნ. კეცხოველს დაბადებიდან 60 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კვლავაც ასე თავდადებით ემსახუროს ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

**ზ. ლეჟავაშელი**

# ქიმია ცხოვრებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საბჭოთა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის განზრახულია გამოიყოს 100.000.000.000 მანეთი.**

ხელოვნურ ბოჭკოს, პლასტმასას და კაუჩუკს, დღეს ნავთის, ქვანახშირისა და ხისაგან იღებენ. რაც უფრო მეტი იქნება ეს შესანიშნავი მასალები, მით უფრო მეტად დაკმაყოფილდება მოსახლეობის და მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილება, მით უფრო წინ წავა ჩვენი ქვეყანა. არ არის ტექნიკის არც ერთი დარგი, სადაც არ გამოიყენებოდეს ქიმიური პროდუქტები. ამ ნივთიერებათა გარეშე წარმოუდგენელია რაკეტული ტექნიკის, ავტომშენებლობის, ავიომშენებლობის, გემთმშენებლობის და სხვა დარგების განვითარება. აი, რატომ არის, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სინთეტიური მასალების დამზადებას.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მაისში ჩატარდა, სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა. პლენუმმა გადაწყვიტა, რომ 1959—65 წლებში ძირითადი ქიმიური პროდუქტების წარმოება ჩვენს ქვეყანაში სამჯერ უნდა გაიზარდოს. უაღრესად დიდია მათი როლი ჩვენს ცხოვრებაში, მათგან შეიძლება დამზადდეს ყველაფერი: ავტომობილის ძარა და უწვრილესი აბრეშუმის ძაფი, საათის ისარი და ფეხსაცმელი, ლამაზი ვაზები და მედიკამენტები.



დღეს ავტოსაბურავი მხოლოდ 40 ათასამდე კილომეტრის გავლას უძლებს. ქიმიამ ახალი სინთეზური კაუჩუკი შექმნა, რომელიც 120 ათას კილომეტრის გავლას გაუძლებს.

მომავალ 8 წლის განმავლობაში სინთეზური და ხელოვნური ბოჭკოს დამზადება გაიზრდება 4,6-ჯერ. პლასტილინებისა 8-ჯერ.



პლასტმასამ მედიცინაშიც დიდი ადგილი დაიმკვიდრა, გულის არეში გაწყვეტილ და დასუსტებულ სისხლის ძარღვებს ოპერაციის დროს, ექიმები პოლიხრონვილის მილებით აერთებენ.

ვინ იცის, რამდენი ზღაპარი წაგიკითხავთ, სადაც ზებუნებრივი ძალა საგანს სახეს უცვლის, მეორე საგნად გადააქცევს. განცვიფრებულხართ, მაგრამ ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ზღაპარზე არანაკლებ საოცარი და საინტერესო გარდაქმნები ყოველდღე, ყოველ წუთს ხდება ჩვენს ირგვლივ.

ავიღოთ ყველასათვის ცნობილი მაგალითი: კვარი ხომ ყველას გინახავთ? აინთება, იწვის, იწვის და გაქრება, დაიკარგება სავსებით. მაგრამ არა, კვარი სრულიადაც არ ქრება, არ იკარგება. იგი მხოლოდ სახეს იცვლის, კვამლად და ფერფლად იქცევა. აქ მიმდინარე არც თუ ისე რთული პროცესის ახსნა მხოლოდ იმ მეცნიერებას შეუძლია, რომელიც ნივთიერებებს და მათ გარდაქმნას სწავლობს. ეს მეცნიერება მართლაც რომ სასწაულმოქმედია. რა საკვირველებას არ ახდენს იგი! ჩვეულებრივი ხიდან ქაღალდს ამზადებენ, ნავთისაგან—რეზინს, ჰაერიდან - მცენარეთა საკვებს, ქვანახშირიდან საღებავსა და წამლებს.

ეს მეცნიერება ქიმიაა.

თქვენ თუ მეხუთე ან მეექვსე კლასში სწავლობთ, ქიმიის შესახებ არაფერი გეცოდინებათ, რადგან მის შესწავლას მხოლოდ მეშვიდე კლასიდან იწყებენ. პირველად იგი შეიძლება მოსაწყენი და ძნელი გეჩვენოთ. ჩვეულებრივი და დიდი ხნის ნაცნობი საგნები აქ, უცებ, თავისებურ და საოცარ სახელებს იღებენ. ვინ არ იცნობს მაგალითად რკინას. ჰოდა, რკინას ქიმიაში სულ სხვა, ლათინური სახელი «ფერუმი»—ჰქვია და ლათინურივე ასოებით ასე აღინიშნება—Fe. რკინა ქიმიისათვის ერთერთი ელემენტია, მსგავსი ნივთიერებები კი ბუნებაში ასზე მეტია. ამ ნივთიერებათაგან შედგება მთელი სამყარო — ტყე და ველი, წყალი და ოკეანე, მიწა და ქვა, პური და თვით ჩვენი ორგანიზმიც. ბევრი დაეჭვდება—ნუთუ მართლა მთელი ქვეყანა მხოლოდ და მხოლოდ ასი ნივთიერებისაგან შესდგებაო? მაგრამ, მოიგონეთ რამდენი ასოა ჩვენს ენაში. 33—არა? და ამ 33 ასოსაგან შედგება ორასი ათასამდე ქართული სიტყვა; მაშ რაღაა გასაკვირველი იმაში, რომ ქვეყანაზე ყველა სხეული და საგანი ასი ელემენტისაგან იყოს შემდგარი!?

ყველა ამ ცვლილებებსა და გარდაქმნებს ქიმია სწავლობს.

პირველი ქიმიური მოვლენა, რომელიც ადამიანმა გაიცნო და გამოიყენა, წვა იყო. ეს შორეულ წარსულში მოხდა, მაშინ ადამიანმა ქიმიის არა იცოდა-რა. ქიმია, როგორც მეცნიერება, მხოლოდ ასეული წლებია არსე-

ბობს. იგი დღეს ისე ღრმად შეიჭრა ადამიანის ცხოვრებაში, რომ უმისოდ ძალზე გაჭირდებოდა ცხოვრება.

აი, დილის ვარჯიშის შემდეგ თქვენ ხელპირს იბანთ. ხელში საპონს იღებთ და არც კი იცით, რომ აქ თქვენ უკვე ქიმიასთან გაქვთ საქმე. საქმე მარტო ეს კი არაა, რომ თვით საპნის დამზადება ცხიმების ქიმიური დამუშავებით ხდება; არა. თვით ბანა, თავისთავად, რთული ქიმიური პროცესია. ჩვენი ორგანიზმის ზედაპირი თითქმის ყოველთვის ცხიმის თხელი ფენით არის დაფარული, რადგან ცხიმი წყალში არ იხსნება, მისი უბრალო წყლით მოცილება ძნელია. საპონი კი ცხიმს ხსნის და წყალთან ერთად ორგანიზმს აცილებს.

შემდეგ, საუზმისათვის ალბათ ნავთქურის ან ღუმელის ანთება დაგჭირდებათ. რამდენჯერ გჭერიათ ხელში ასანთი? ერთი შეხედვით მასში არაფერია რთული, მაგრამ სინამდვილეში ასანთის პატარა ყუთში საინტერესო ქიმიური პროცესების მთელი სერია არის თავმოყრილი. ყუთის ორი მხარე წითელი ფოსფორის, წებოსა და სურმის ნარევისაგან არის დაფარული. წითელი ფოსფორი თეთრისაგან განსხვავებით შხამიანი არ არის, მაგრამ არ ალდება. აალება მხოლოდ ხახუნის შედეგად ხდება, როდესაც წითელი ფოსფორი თეთრ ფოსფორად იქცევა ხოლმე. ახლა ასანთის ღერი... ერთი სიტყვით ასანთის ყუთი მთელი ქიმიური ფაბრიკაა.

ქიმია აქტიურად ერევა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. თვით სასკოლო ნივთების და, უპირველესყოვლისა, ქაღალდის დამზადება ქიმიის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს.

ქაღალდი ჩვენს ქვეყანას ბევრი სჭირდება. 1960 წელს ჩვენმა ფაბრიკებმა ორი მილიონ შვიდასი ათასი ტონა ქაღალდი უნდა დაამზადონ. ერთი მეტრის სიგანეზე დაჭრილი ეს ქაღალდი, სიგრძეზე რომ გავჭიმოთ, თითქმის ორმოცი მილიონ კილომეტრზე გაგრძელდება. ე. ი. დედამიწას ათასჯერ შემოუვლის გარშემო. რისგან ამზადებენ ამდენ ქაღალდს? აი, აქ, ისევ ქიმიასთან გვაქვს საქმე. მერქნის ქაღალდად გადაქცევა გრძელი და რთული ქიმიური პროცესია. ხის მასალას ნახერხისებურად ფშვნიან და ქიმიურ ხსნარებთან ერთად სპეციალურ ქვაბში ხარშავენ. მიიღება თეთრი თხელი მასა, რომელიც შედედებულ რძეს ჰგავს. ამ მასიდან ქაღალდის მიღება უკვე აღარ არის ძნელი.

სასწაულმოქმედი ქიმია მერქანს მარტო ქაღალდად კი არ აქცევს. ახლა აბრეშუმის ქსოვილსაც მერქნისაგან ამზადებენ. ამისათვის ხის ნადუღებ მასას კიდევ, დამატებით ამუშავებენ სხვადასხვა ქიმიურ შენაერთებში. ბოლოს და ბოლოს მიიღება ახალი ნივთიერება, რომელსაც ატარებენ წვრილ საცერში და ასე იღებენ ვისკოზს, ანუ ხელოვნურ აბრეშუმს.

ნავთს ვინ არ იცნობს! იცით, რომ იგი შესანიშნავი საწვავი მასალაა, მაგრამ გიფიქრიათ ოდესმე, რომ კალოშები, რომელიც თქვენ გაცვიათ, ნავთისაგანაა დამზადებული? ეს კი ასეა, და აქაც ქიმიის ხელია ჩარეული. თუმცა უნდა ითქვას რომ, კალოშებს დღეს კარტოფილისა და სიმინდისაგან ამზადებენ, ამ ხუთწლედის ბოლოს კი მის დამზადებას მთლიანად ნავთისაგან დაიწყებენ. ნავთისაგანვე დამზადდება მანქანის საბურავები, ბურთის კამერები, საწვიმრები. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი რეზინისაგან კეთდება.

რეზინს ჩვეულებრივ კაუჩუკისაგან იღებენ. კაუჩუკის ხე კი, რომელიც კაუჩუკს იძლევა, ჩრდილოეთის ქვეყნებში არ ხარობს. რეზინზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ მეცნიერების წინაშე კაუჩუკის სხვა გზით მიღების პრობლემა დააყენა. ამ საქმეში თავისი გადამწყვეტი სიტყვა ისევ და ისევ ქიმიამ თქვა. 1928 წელს კაუჩუკი სპირტისაგან მიიღეს. სპირტი კი ძირითადად კარტოფილისაგან მზადდება. აი, რატომ იყო, ზევით რომ ვთქვით: კალოშები კარტოფილისაგან მზადდება. ერთი წყვილი კალოშის დასამზადებლად 5 კილო კარტოფილია საჭირო, ხოლო ავტომობილის საბურავს 200 კილო კარტოფილი სჭირდება. კარტოფილი კი ძვირფასი კულტურაა და მისი ამ მიზნით გამოყენება მიზანშეწონილი იქნება? რასაკვირველია არა. და აქაც, მეცნიერებას ისევ და ისევ ქიმიამ გაუწოდა თავისი ხელი. უახლოეს ხანში კაუჩუკს ძირითადად ნავთისაგან დაამზადებენ. გამოანგარიშებულია, რომ ეს კარტოფილის იმდენ ეკონომიას მოგვცემს, რომ 6 წელს ეყოფა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს.

აი, რა შეუძლია ქიმიას.

ინჟინერი **გ. ბასილაია**



ტრაქტორზე შეიძლება დაიდგას ხელსაწყო, რომელიც პოლიეთილენის მილს იქვე, განუწყვეტლივ დაამზადებს და გადაბმის გარეშე ჩაუშვებს ორმოში. ამ მილებით შეიძლება გადატანილი იქნეს სიმჟავეები, ძმარი, რძე, ნავთი.



ავიაციაში დიდი სიჩქარეების ათვისებამ ბევრი ახალი პრობლემა დააყენა. დიდი სისწრაფის გამო ხურდება და დნება მრავალფენიანი მინა. აქ, ქიმიამ მრავალგვარი ახალი პლასტიკური მასა შემოიტანა, რომელთაგან ზოგიერთი პლიუს 170 გრადუს ტემპერატურას უძლებს.



ფართოვდება მრეწველობაში ხელოვნური წებოს გამოყენება. ხელოვნური წებო წებავს არა მარტო ხესა და მინას, არამედ რკინასაც. ამ ხიდის ყველა ნაწილი სწორედ ასეთი ხელოვნური წებოთი არის დამაგრებული.



გემები პლასტმასისაგან დამზადდება. ეს მასალა არ ლპება. შეღებვას არ საჭიროებს, მსუბუქი და იაფია.

# ერთ საღამოს

ფრენც შანტა

ნახ. ნ. შალიკაშვილისა



ფრენც შანტა უნგრელი მწერალია. ამას წინათ მისი ნაწარმოებები იოჟეფ ატილის სახელობის პრემიით დააჯილდოვეს. მოთხრობა „ერთ ღამეს“ ასახავს ძველი უნგრეთის გლეხთა ცხოვრებას. მოთხრობა დაბეჭდილია უნგრეთის მწერალთა კავშირის გაზეთ „იორდალმი უიშაგში“.

სამი თვეა ვშიმშილობთ.

უკანასკნელი ორი კვირა ისე გავატარეთ, პურის გემო არ გვინახავს. დედა დღეში ერთხელ მოხარშავდა ხოლმე სიმინდის პულისკას და თითოოროლა კოვზს დაგვირიგებდა. თვალის დახამხამებაში გადავსანსლავდით და მეორე დღემდე კუჭი შიმშილით გვეწოდა. ბავშვები ოთხნი ვიყავით, უპურობით გაოგნებულები, მატყლის დიდ საბანქვეშ შევიყუჟებოდით და მთელი დღე ლოგინში ვიწექით. საბანქვეშ გვთბილოდა და არც უფროსებს ვეჩხირებოდით თვალში. მამამ, კარგა ხანია, იმედი გაიწყვიტა და სამუშაოს აღარ ეძებდა. მთელი დღე ღუმელთან იჯდა. ხანდახან ჩვენსკენაც მოიხედავდა და ზღაპრის მოყოლას დაიწყებდა. დაიწყებდა-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მამას ერთხელაც არ დაუმთავრებია ზღაპარი. დანარჩენს ხვალ გიამბობთო, გვეტყოდა, და ისევ ღუმელს მიუბრუნდებოდა.

საშინელია თურმე შიმშილი. ვისაც იგი არ გამოუცდია, ვერ წარმოიდგენს რა ყოფაში ვიყავით. გადავსანსლავდით თუ არა ჩვენს წილ კერძს, მაშინვე ქვაბს ვეცემოდით, ვინ დანით, ვინ კოვზით, ვფხეკდით და ვლოკავდით მის კედლებსა და ფსკერს.

ასეთი შიმშილობის დროს ყოველი პირი დათვლილია. მეტი მჭამელი, მეტი უბედურებაა ამ დროს. ლუკმის შემყურენი კი შვერნი ვიყავით.

ერთ საღამოს პაპაჩემმა, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა ბერიკაცმა, თავისი კერძი ჩვენ მოგვიტანა საწოლში. დაკოჟრილი, დიდი ხელით ფშვნიდა და ხელში გვიყრიდა პულისკას. ჩვენ კი ყოველ ნამცეცს წიწილებივით ვკენკავდით. არც დავფიქრებულვართ, არც გვიკითხავს, რატომ არა ჭამ, პაპა, შენს წილსო. მხოლოდ გაფაციცებით შევყურებდით და ნამცეცებს ვცუცნიდით.

სიჩუმე მამამ დაარღვია. ღრმად ჩაცვივნული თვალები პაპას მიაპყრო და უთხრა:

— თქვენ კარგად მოიქეცით, მამა!

მეც დიდი მადლიერი ვიყავი პაპაჩემის. ვერ წარმოიდგენთ, რა ტკბილი იყო ეს მოულოდნელი ლუკმა. პაპამ ხელისგულიდან უკანასკნელი ნამცეცები ჩამოიფხიკა და ხმადაბლა ჰკითხა მამას:

— მაშ, შენ აგრე ფიქრობ, ფერკო?

— ჰო, აგრე ვფიქრობ,—უპასუხა მამამ.

დედას ხელიდან გაუვარდა დიდი ჯამი, რომელშიც ჭურჭელს რეცხავდა. შეშინებულმა ჯერ პაპას შეხედა, შემდეგ თვალი მამას მიაპყრო და ნელა შებრუნდა.

პაპამ შარვალზე შეიწმინდა ხელები, დიდი მზრუნველობით და სინაზით შეგვისწორა ბალიშები, შემდეგ ღუმელთან მივიდა, დაიხარა, ხმელი ფიჩხები აიღო, გადატეხა და ერთად შეაგროვა. ეს საქმე რომ მოათავა, ისევ მამას მიუბრუნდა.

— გაისად როგორმე ანდროშ კაჩას შეუამხანაგდი, ერთად დაამუშავეთ მისი მიწა. მანამდე ფერიკეც წამოიზრდება და მხარში ამოგიდგება.

მამა არ უყურებდა პაპას. თივის ღერი ედო პირში და დაფიქრებით ღეჭავდა.

— ნურც იმას დაივიწყებ, რაც მატოშ იანიმ გირჩია,—განაგრძო პაპამ.—ბაზარში წყალნარევი ღვინო წაიღე ხოლმე, იქნებ როგორმე ცხენის საყიდლად ფული მოაგროვო.

მამა კვლავ დუმდა. უწინაც არაერთხელ ჩამოუგდია პაპას სიტყვა წყალნარევი ღვინის გაყიდვაზე, მაგრამ მამა მუდამ შეაწყვეტინებდა ხოლმე. ახლა კი ჩუმად უსმენდა.

ჩვენ განცვიფრებულები ვუგდებდით ყურს უფროსების ლაპარაკს. ცოტა ხნის შემდეგ პაპამ მამას მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— ასე, ჩემო შვილო. ახლა კი ნუღარ აყოვნებ, ადექი.

მამა ადგა და როგორღაც მოიბუზა.

— კარგი, მოემზადეთ. დანარჩენს მე თვითონ მოვაგვარებ,—უთხრა პაპას.

დედას ტირილი წასკდა, მაგრამ მაინც მივიდა საკიდართან. ჩამოხსნა ცხვრის ბეწვის ქუდი, მაზარა და მამას გაუწოდა. დედამ ეს ყველაფერი უხალისოდ გააკეთა, აბა სხვა რა გზა ჰქონდა. კარგად იცოდა, თუ ასე არ მოიქცეოდა, ცუდი დღე დაადგებოდა. მამამ მაზარა მოიხურა, მერე უკანმოუხედავად გავიდა გარეთ.

ჩემს და-ძმებში ყველაზე უფროსი ვიყავი, მაგრამ

ვერც მე მივხვდი, რა ამბავი იყო ჩვენს თავს, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს. უცებ ვიგრძენი, პაპა თავს წამოგვდგომოდა.

— ფერი...—დაიწყო პაპამ.—აბა თუ გახსოვს, აი, ის ბუდე, ბალვანშონის კლდეში რომ ვნახეთ... როგორ გგონია, ჩამოიღებ შენ იმას?

პაპა მიყურებდა და ტუჩები უთრთოდა.

— ან იმ დიდ, ლამაზ მელაზე რას იტყვი. ვითომ გამოაგდებ სოროდან?—განაგრძობდა პაპა.

მე შეშფოთებული შევყურებდი.

— ყური მიგდე, ფერი... ჩვენ რომ ერთად შევარჩიეთ დიდგულას შტო, ნამდვილი საშურდულე შტო... მოსჭრი იმას უჩემოდ?

მომეჩვენა, თითქოს პაპას თვალში ცრემლი გაუბრწყინდა. დედას გადავხედე, მაგრამ მას სახეზე წინსაფარი აეფარებინა, უძრავად იჯდა.

— რა მოხდა, პაპა?—ვკითხე შეძრწუნებულმა..

პაპამ თვალი ამარიდა. ბალიშქვეშ შეჰყო ხელი, იქიდან სალამური გამოაძრო, თავისი ხელით რომ ჰქონდა გაკეთებული, ერთ ხანს ისე სინჯავდა სალამურს, თითქოს, პირველად ხედავდა. ბოლოს ტუჩთან მიიტანა და ნელა ჩაჰბერა. შემდეგ ისევ ბალიშქვეშ ამოდო და დედას მიუბრუნდა.

— სუფთა ტანსაცმელი მომეცი, აწა!

ვგრძნობდი, სასიკეთო ამბავი არ ხდებოდა, მაგრამ ის კი აღარ ვიცოდი, რა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ოჯახს.

დედამ დიდ სკივრს თავი ახადა, ამოიღო სუფთა შარვალი, პერანგი და წინდები. ტანსაცმელი ისე გადასცა პაპას, გეგონებოდათ საყდარში ხატს სანთელი დაუნთოო



პაპამ ტანისამოსი გამოიცვალა, პირზე წყალიც კი შეისპა, სახე შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა. მუხლებზე ხელებდაწყობილი, სტუმარივით იჯდა, არავის გვიყურებდა. ერთი-ორჯერ ჩაიფრუტუნა მხოლოდ და სახეზე ხელი მოისვა.

დედამ თუჯის დიდი ქვაბით ცეცხლზე წყალი შედგა. ნეტავ რისთვის? პულისკა ხომ მოხარშა და შევჭამეთ. იმას როგორ დავიჯერებდი, რომ კერძს ხელმეორედ მოხარშავდა. მამის შიშით როგორ გაბედავს-მეთქი, გავიფიქრე.

მამა რომ დაბრუნდა, პაპა ისევ სტუმარივით იჯდა მაგიდასთან, დედა კი ღუმელთან ტრიალებდა.

მამას იღლიაში ქათამი ამოეჩარა, ხელში ერთი ბოთლი არაყი ეჭირა. კარგად ვიცოდი, რომ მამას ქათმისა და არაყისათვის ფული არა ჰქონდა, რომელმა სულელმა ასესხა, ვერ მოვიფიქრე. მამამ ქათამი დედას გადასცა, არაყი კი პაპას დაუდგა წინ, შემდეგ მაზარა გადაიგდო მხრებიდან და თვითონაც მაგიდას მიუჯდა. ისეთი დაქანცული სახე ჰქონდა, გეგონებოდათ ამ კაცმა მთელი დღე მძიმე შრომა-გარჯაში დაალამაო. მამას ხომ ღუმელთან ჯდომის მეტი არაფერი გაუკეთებია.

სანამ ქათამი იხარშებოდა, ყველა ჩუმად იჯდა. მამა პატარა დანით ფრჩხილებს იჭრიდა, პაპა არაყს სვამდა.

ქვაბიდან მადის აღმძვრელი სუნი ამოდიოდა. ერთმანეთს მუჯლუგუნებს ვკრავდით, ვცდილობდით საბანქვეშ შეგვეკეცა ფეხები და ჯამის დასადგმელად მოგვეცალა ალაგი, მაგრამ თურმე სულ ტყუილად ვჩრჯებოდით. ჩვენ არც ერთი ლუკმა, არც ერთი ნამცეცი არ გვერგო. მთელი ქათამი პაპამ შეჭამა. ჭამის დროს რამდენჯერმე გადმოგვხედა, ერთხელ წამოიწია კიდეც, უნდოდა ჩვენთვის ხორცი მოეცა, მაგრამ მამამ ხელი დაუჭირა, ადგილზე დასვა და ბრაზით უთხრა:

— თავი დაანებეთ ბავშვებს. ეს სულ თქვენია, ჭამეთ.

სიჩუმეს მხოლოდ პაპას პირის წკლაპუნი და ქშიტინი არღვევდა.

მამამ შემომხედა, მე შევბრუნდი, რადგან მის თვალში უხმო მუქარა ამოვიკითხე, უთუოდ გამჯოხავდა, თუ გავბედავდი და პაპას ხორცს ვთხოვდი.

დედამ სუფრის ალაგება დაიწყო. პაპამ აღარ დააყოვნა. ადგა, პიჯაკი ჩაიცვა, შემდეგ ტყაპუჭი, და ცული აიღო. მამა დამნაშავესავით თავდახრილი ამოდგომოდა უკან. როგორც ჩანდა პაპას შეეშინდა, ვაი თუ ქოხიდან გასვლა ველარ შევიძლოო და სწრაფი ნაბიჯით მივიდა კართან, ფართოდ გააღო, უცებ შედგა, შემობრუნდა. ახლა უკვე ნათლად დავინახე, რომ პაპა ტიროდა.

ჯერ დედას შეხედა, შემდეგ მე. დედა ჩემთან მოვიდა, ტანისამოსი მომაწოდა. მამას საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, მეც აღარ დავაყოვნე, სწრაფად ჩავიცვი.

სიბნელეში გავედით. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. საშინლად ციოდა; მაგრამ მე ყინვას არა ვგრძნო

მამამ ხელი დაუჭირა, ადგილზე დასვა და ბრაზით უთხრა:— თავი დაანებეთ ბავშვებს. ეს სულ თქვენია, ჭამეთ.



ბდი, ცრემლი მახრჩობდა, რაღაც საშინელი უბედურების წინაგრძნობა გულს მიკუმშავდა. პაპას თვალს ვერ ვაშორებდი. ის კიბის საფეხურზე იდგა, ერთი ხელი ტყაპუჭის ჯიბეში ჩაეყო, მეორე კი მაგრა მოეჭირა ცულისათვის, თითქოს ესაა დათვს უნდა შეებასო. დიახ, ასეთი, სწორედ ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში მთელი ცხოვრების მანძილზე პაპაჩემი. ასე იდგა ერთ ხანს, შორი სივრცისათვის თვალმიშტერებული.

— ხვალ ამოდით, ყველაფერს იქ დავტოვებ,—დაარღვია ბოლოს დუმილი.

მამამ არ უპასუხა, მხოლოდ თავი ასწია. პაპამ ცული მკლავზე ჩამოიკიდა და მასთან მივიდა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, შვილო!

მამა შეკრთა, ძირს დაიხედა და თითქოს მიწას მიმართაო, ყრუდ მიუგო:

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მამა!—და როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჩუმად დაუმატა:—თავს გაუფრთხილდით!

მე შევყურებდი პაპას, ვხედავდი, როგორ გადაჭრა გზა და ორღობისაკენ გაუხვია, მინდოდა დამეყვირა, მოიცადეთ, პაპა, მე რატომ არ გამომემშვიდობეთ! მინდოდა მეთქვა, ღმერთი შეგეწიოთ-მეთქი. უკვე დავაპირე კიდეც გავკიდებოდი, რომ პაპა შედგა და ჩემსკენ მობრუნდა.

— ფერიკე!—ოდნავ გასაგონი ხმით დამიძახა.—წამო, გამომყევი ცოტაზე!

მამამ ამხედ-დამხედა და მიბრძანა:

— გაჰყევი, პაპას!

პაპა იქვე იდგა, როცა მე მასთან მივედი. ხელი ჩამკიდა და ჩვენ ერთად გავყევით გზას ისევე, როგორც უწინ არაერთხელ გვივლია, სოკოს ან ჟოლოს საკრეფად. მაშინ პაპა გზადაგზა ზღაპრებს მიყვებოდა, მასწავლიდა როგორ უნდა მეპოვა ტყეში თაფლი ან ჩიტის კვერცხები. ახლა კი მდუმარედ მიაბიჯებდა, მხოლოდ დროდადრო მომიჭერდა ხოლმე ხელზე ხელს. ბორძიკით მივყვებოდი, რადგან სულ მას შევყურებდი, ვერ მივმხვდარიყავ გაგიჟდა თუ რა დაემართა. მინდოდა მეთხოვა, ასე ნუ იქცევით, ნუ ხართ ასეთი უცნაური, თორემ ავტირდები-მეთქი.

მაგრამ ჩვენ უკვე გავიარეთ ორღობე, პაპა შედგა, ჩემს წინ ჩაცუცქდა, ერთ ხანს სახეში მიყურა, შემდეგ



პაპა ისე სწრაფად წამოდგა, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო. მეტი აღარ მოუხედავს ჩემსკენ.

თავი ამიწია, სამჯერ პირჯვარი გადაიწერა და მაკოცა. ჩემთვის უწინ არასოდეს არ უკოცნია პაპას.

— მშვიდობით, ფერიკე! წადი შინ, დედას უთხარი, კარგად მოგიაროს. მე კი ვერასოდეს ველარა მნახავ,— მითხრა ჩახლეჩილი ხმით და ისე სწრაფად წამოდგა, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო. მეტი აღარ მოუხედავს ჩემსკენ. გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, რომ პაპა ხეებს მიეფარა.

მამა იმავე ადგილას დამხვდა, სადაც დავტოვე. თავაწეული იდგა, ვარსკვლავებს შეჰყურებდა. შინ შედიო, მითხრა, მეც მორჩილად შევედი. პატარებს უკვე ეძინათ, დედა ოთახში არ იყო. მე პაპაჩემის სკამზე დავჯექი და გადავწყვიტე, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ პაპა არ მოვა-მეთქი.

— პაპა როდის დაბრუნდება?—გაუბედავად ვკითხე მამას, როცა ის ქოხში შემოვიდა.

— როცა შენ არ მოიკითხავ!—კუშტად მომიგო მამამ.

ნერვიულობდა, ოთახში ბოლთას სცემდა, ულვაშს იწიწკნიდა, ხან რას აიღებდა ხელში, ხან რას, და უმალ უკანვე დადებდა. დამწუხრებული დათვივით ბორგავდა... ბოლოს თავის სკამზე ჩამოჯდა და ცეცხლს მიაშტერდა.

ვიღაცამ დააკაკუნა. დედამ კარი გააღო.

— საღამო მშვიდობისა! — მოგვესალმა სტუმარი. ეს პაპას ნათლიმამა ეგნატე ჩუროში იყო.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — უპასუხა მამამ. ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ღუმელის კარი მიხურა.

დედამ სკამი მიართვა სტუმარს. ძია ეგნატე თავის კოჟრიან ჯოხს დაეყრდნო და სკამზე დაჯდა. არავინ დაელაპარაკა, ეგნატეს კი სწორედ საუბარი სწადდა. სკამზე ტოკავდა, ახველებდა, ცხვირს იხოცავდა, პატარა, ბებრულ თვალებს წკურავდა. ბოლოს დუმილს რომ ველარ გაუძლო, იკითხა:

— ბერიკაცი სადღაა?

— როგორც ხედავთ, აქ არ არის!—ყრუდ მიუგო მამამ და არც ახლა შეხედა ეგნატე ჩუროშს.

ძია ეგნატემ სათუთუნე ქისა ამოიღო. ერთ ხანს ატრიალა ხელში, შემდეგ ისევ შეინახა, გარშემო მიმოიხედა, ჩვენ გადმოგვხედა, დედას სახეში ჩააცქერდა და ბოლოს პაპაჩემის ტახტზე შეაჩერა მზერა, სადაც ჯერ კიდევ ეწყო მისი ძველი ტანსაცმელი.

— მაშ, მართლა წავიდა?—ჩუმად იკითხა ძია ეგნატემ.

— სად?—ჰკითხა მამამ.

— ზევით, გეენაში!

გული შემიქანდა, ყელი გამიშრა. მაჯლაჯუნასავით რაღაც დამაწვა მკერდზე. ვაიმე! გეენა! იქიდან ხომ ჯერ არც ერთი სულიერი არ დაბრუნებულა. იქაური გოგირდიანი ჰაერის შესუნთქვა და კაცის გათავება ერთია. ჩიტი რომ შეფრინდეს იმ გამოქვაბულში, უკან ველარ გამოფრინდება. პაპა? პაპა ხომ მოკვდება იქ. ღმერთო

ჩემო, პაპა!... მაშ, ის აღარ დაბრუნდება! მაშ, განგებ წავიდა იქ? დედამ და მამამ იცოდნენ და გაუშვეს!ოო, ღმერთო, ღმერთო ჩემო! ნეტა შორს იქნება უკვე წასული: არავინ აპირებს დაეწიოს და დააბრუნოს?

ყველაფერი ნათელი იყო ჩემთვის. გამახსენდა, რომ ამ ერთი თვის წინათ ასეთივე ამბავი მოხდა. ხალხი ამბობდა: კარგად მოიქცა, ერთი მჭამელი მაინც მოაკლდა ოჯახსო. ყველა იწონებდა იმ კაცის საქციელს. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ პაპაჩემიც იმავე გზას დაადგებოდა? ჩუმად ვტიროდი, მეშინოდა მამას არ გაეგონა, მაგრამ მამას ჩემთვის აღარ ეცალა. ის ძია ეგნატეს მიჩერებოდა.

— საიდან გაიგეთ?—ჰკითხა ბოლოს მამამ.

— ანდრაშის ბიჭმა მითხრა, დუქანში იყო არყისთვისო, მერე ისიც უნახავთ, ქათამი რომ მოგქონდა.

— ჰო, ასე იყო, მართალია ყველაფერი,—მიუგო მამამ, ისევ გამოაღო ღუმელის კარი და ცეცხლს მიაშტერდა.

— დიდი ხანია, რაც წავიდა?

მამამ არ უპასუხა.

—თხუთმეტიოდე წუთი იქნება,—მამას მაგივრად, ხმადაბლა მიუგო დედამ.

ეგნატემ უსიტყვოდ დაუქნია თავი დედას. ადგა, კარისაკენ გაემართა, ზღურბლზე შედგა, შემობრუნდა.

—ბავშვებს თუ აკოცა?—ჰკითხა დედას, თან ჩვენ გადმოგვხედა.

— არა, არც ერთს...—ამოიკვნესა დედამ, წინსაფრით თვალები მოიწმინდა და ძია ეგნატეს გარეთ გაჰყვა.

მამას უთუოდ შეაცივა, ისევ შეუკეთა ღუმელს და უფრო დიდი ცეცხლი ააბრიალა. ნამდვილი ჯოჯოხეთის ცეცხლი გუზგუზებდა. მამა ისეთი საშინელი შესახედავი იყო, რომ სუნთქვა შემეკვრა, ფეხაკრეფით მივიპარე საწოლთან, შევძვერი საბანქვეშ და თვალცრემლიანს ჩამეძინა.

დილით მამამ გამაღვიძა, მთელი ღამე თეთრად გაეთენებია.

— ადექი, ტყეში წავიდეთ, შეშა არა გვაქვს.

სადილობამდე ვჩეხავდით როკებს. მე პაპაჩემის ჯავრი არ მასვენებდა. მამა, არ ვიცი, რაზე ფიქრობდა, ეს კი იყო, რომ ერთხელაც არ დაუტუქსივარ.

— კარგი, გვეყოფა ახლა,—მითხრა მამამ.

მე ბილიკზე გავედი და შინისკენ მიმავალ გზას დავადექი.

— იქით ნუ მიდიხარ, ფერიკე!—დამიძახა უცებ მამამ.

უკან დავბრუნდი. ტყე გადავჭერით და მთებისაკენ გავემართეთ. იქ, სწორედ იმ მთებში იყო გეენა. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

მივუახლოვდით თუ არა გამოქვაბულს, უმალ დავინახეთ პაპას ტანსაცმელი. გულდაგულ დაეკეცა, ზედ დიდი ქვა დაედო. ცული კი არსად ჩანდა. პაპას თან წაეღო თავისი ცული.

—პაპა!—წავიჩურჩულე თავზარდაცემულმა.

მამა დაიხარა, ტანისამოსი აიღო. როცა ცხვრის ბეწვის ქუდი ასწია, იქიდან რაღაც გადმოვარდა და თოვლზე დაცურდა. ქათმის ბარკალი იყო. ვიდექი, განძრევა არ შემეძლო. მამამ ბარკალი აიღო, ერთ ხანს ხელზე ედო, თითქო წონისო, შემდეგ ისე ნაზად ჩადო ჩემს ჩანთაში, როგორც ჩიტის ბარტყი. მომიახლოვდა, ხელი მომისვა სახეზე. ეს ხომ უწინ არასოდეს არ გაუკეთებია მამას.

— მერე, ფერიკე... შინ შეჭამე. ხომ ხედავ რომ გაყინულა,—მითხრა გამოცვლილი ხმით.

იქნებ მამას დაავიწყდა, რამდენი ვართ შინ? არა მამას ეს ახსოვდა, მაგრამ ახსოვდა ისიც, რომ პაპამ ეს ბარკალი თავის ყველაზე საყვარელ შვილიშვილს დაუტოვა.

იქვე, შორიახლოს ტანისამოსის მეორე გროვა ეწყო. მაშინვე ვიცანი ეგნატე ჩუროშის კონკები. მისი სამოსის წასაღებად არავინ მოვიდა და უთუოდ არც არავინ მოვიდოდა, რადგან ძია ეგნატეს კონკებში გახვრეტილ კაპიკიანსაც არ მისცემდნენ.

თარგმნა **ნინო სამუკაშვილმა**



**მამა დაიხარა, ტანისამოსი აიღო. როცა ცხვრის ბეწვის ქუდი ასწია, იქიდან რაღაც გადმოვარდა და თოვლზე დაცურდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა უფრო ძვირფასია

(ოსური ზღაპარი)

დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ჭაბუკი. როგორც კი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მაშინვე ლაპარაკს ჩამოაგდებდნენ იმაზე, თუ რა უფრო ძვირფასია.

— ეხ, — ეტყოდა პირველი, — მე რომ ასი ფაშატი მყავდეს, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი ქვეყნად!

— რისი ფაშატი!—ეტყოდა მეორე,—აი, მე რომ ასი ერთგული მეგობარი მყავდეს, ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი!

ერთხელ კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს და ისევ ამ საკითხზე დაიწყეს კამათი—რა უფრო ძვირფასია ადამიანისათვის ქვეყნად. დიდხანს, ძალიან დიდხანს იდავეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს:

— მოდი, თითოეული ჩვენგანი გაუდგეს გზას. ვისაც ცხენები მოსწონს, ცხენები აგროვოს და ვისაც მეგობრები—მეგობრები ეძიოს.

შეთანხმდნენ და გაუდგნენ თავიანთ გზას. ცოტა იყო თუ ბევრი, განვლო დრომ. დაბრუნდნენ ჭაბუკები თავიანთ სოფელში, შეხვდნენ ერთმანეთს.

— აბა, როგორ არის შენი საქმე, კარგად დამთავრდა თუ არა შენი მოგზაურობა? — ეკითხება პირველი ჭაბუკი.

— კარგად, — უპასუხა მეორემ, — მე ოთხმოცდაცხრამეტი მეგობარი შევიძინე. შენი საქმეები როგორღა არის?

— არც ჩემი საქმეა ცუდად, ოთხმოცდაცხრამეტი შესანიშნავი ფაშატი მოვაგროვე.

მეორე ჭაბუკმა მიუგო:

— რადგან შენ ერთი ცხენი გაკლია, ხოლო მე ერთი მეგობარი, მოდი გაჩუქებ ჩემს საუკეთესო ფაშატს.

— მე კი შენი ერთგული მეგობარი ვიქნები!—უპასუხა პირველმა ჭაბუკმა.

— ო, ეს ძალიან კარგია: ახლა მე მყავს ასი მეგობარი. ნუთუ ეს ბედნიერება არ არის?

— მე კი ასი რჩეული ცხენი მყავს. ვინ არის ჩემზე ბედნიერი?

პირველმა ჭაბუკმა უთხრა დედას:

— დედი, ტყუილად როდი დამიკარგავს დრო მოგზაურობაში, შეხედე, რამდენი შესანიშნავი ფაშატი მყავს! ნუთუ ეს ბედნიერება არ არის? სულ მალე უმდიდრესი და უბედნიერესი კაცი შევიქნები: თითოეული ფაშატი წელიწადში თითო კვიცს მოიგებს, გაივლის რამდენიმე წელი და მთელ ჩვენს მხარეში ყველაზე დიდი რემა მეყოლება.

დედამ უსმინა, უსმინა შვილს და გაიხარა მასთან ერთად.

მეორე ჭაბუკიც ასევე მივიდა თავის დედასთან:

— ახლა მე ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ—მე ხომ ასი ერთგული მეგობარი მყავს!

დედამ ყურადღებით მოისმინა შვილის ნაამბობი, მერე ჩაფიქრდა და ასე უთხრა:

— ყველაფერი ეს სასიამოვნოა, შვილო! მაგრამ, აი რა რჩევას მოგცემ. მოდი, გამოსცადე შენი მეგობრები. საქმით დარწმუნდი, არიან თუ არა ისინი ნამდვილად შენი ერთგული მეგობრები.

— მერედა, როგორ გამოვცადო მეგობრები?—შეეკითხა შვილი.

— აი, როგორ, — უთხრა დედამ, — შეჯექი ცხენზე, წადი, დაიარე ყველა სოფლები სადაც კი მეგობრები გეგულება, განუცხადე სუყველას, რომ შენ გეწვია დიდი უბედურება და ხელიდან გამოგეცალა ყველაფერი. ნახე, როგორ შეხვდებიან ისინი ამ ამბავს.

იმავე ღამეს როგორც კი მეორე ჭაბუკი თავის მეგობრებთან გაემგზავრა, პირველ ჭაბუკს მართლაც ეწვია ნამდვილი უბედურება. ყაჩაღებმა მოიპარეს მისი სანაქებო ფაშატები.

— ხომ არ გინახავთ ჩემი ფაშატები საით გარეკეს ყაჩაღებმა?—ემუდარებოდა იგი ხალხს. თან აღწერდა თავის ფაშატებს, მაგრამ ყველასაგან ერთნაირ პასუხს ღებულობდა:

— არ გვინახავს, არ ვიცით.

იმედგადაწყვეტილი დაბრუნდა შინ. თავჩაქინდრული დაჯდა და დაიწყო ჩივილი:

— გაქრა, გაფრინდა, წამიერი ყოფილა ჩემი ბედნიერება. ახლა მე ყველაზე უბედური კაცი ვარ ქვეყნად.

ამ დროს მეორე ჭაბუკმა თავისი ცხენი შემოაჭენა სოფელში. მივიდა დედასთან და უთხრა:

— ჩემი მეგობრები ნამდვილად ერთგული მეგობრები არიან. შენ უნდა გენახა, როგორ შეწუხდნენ ისინი: თითოეულმა შემომთავაზა ფული, ტანსაცმელი, ცხენიც კი. მე სასტიკ უარზე დავდექი, ვეუბნებოდი, რომ არაფერი არ მჭირდება, მაგრამ მათ ამისი გაგონებაც არ ეწადათ. აი, შენ თვითონ დარწმუნდი.

გაიხედა დედამ და რას ხედავს: ყოველ მხრიდან მოდიან მათი სოფლისაკენ—ზოგი პირუტყვს მოერეკება და ფრინველი მოჰყავს, ზოგს პური მოაქვს, ზოგს კიდევ ტანსაცმელი და ჭურჭელი.

მიუახლოვდნენ სახლს და თხოვეს ჭაბუკს:

— ღვთის გულისათვის, ნუ გვეტყვი უარს, ნუ გვაწყენინებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა და შვილი რიგრიგობით მადლობას უხდიდნენ სანატრელ სტუმრებს და სთხოვდნენ უკანვე წაეღოთ ყველაფერი.

— ჩვენ მხოლოდ გამოცდა გვინდოდა თქვენი,—გამოუტყდა დედა.

მაგრამ მეგობრებს ამისი მოსმენაც არ უნდოდათ.

დატოვეს საჩუქრები, უსურვეს მათ ბედნიერება და წავიდ-წამოვიდნენ.

— შენ მართალი ხარ შვილო,— უთხრა დედამ შვილს, — ესენი ნამდვილი მეგობრები არიან. შენ შეგიძლია დღეიდან თავი ბედნიერ კაცად ჩათვალო.

დედამ ამცნო შვილს, თუ როგორ გაქურდეს მისი მეგობარი ყაჩაღებმა. შვილმა გაქურდულ მეგობარს აჩუქა ყველაფერი, რაც მას მოუტანეს, თან დასძინა:

— ნუ დაღონდები და გწამდეს: როცა კაცს ერთგული მეგობარი ჰყავს, ის არასოდეს არ ჩავარდება გასაჭირში.

— სწორეა, — გაეპასუხა პირველი,—მე ახლა თვალნათლივ ვხედავ, რომ ყველაზე ძვირფასია არა სიმდიდრე, არამედ ერთგული მეგობარი!

თარგმნა **თ. ახალაიამ**



# მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში

## წყლის ნაცვლად ცეცხლი

ჩვეულებრივი მეთოდით ნავთის ამოღებისას, ყოველ საბადოდან «შავი ოქროს» მხოლოდ ნაწილის ამოღება ხერხდება. ამოიღებენ მიწიდან საბადოს მარაგის მეოთხედს და ტუმბო უკვე აღარ იძლევა საწვავს. ნავთით არის გაჟღენთილი ქანი, მაგრამ სატუმბავები ვერ უდგება მათ.

საბჭოთა ინჟინრებმა ამის საწინააღმდეგოდ ასეთი საშუალება მოიგონეს: რომელიმე გაუქმებულ ჭაბურღილით ნავთიან ქანებში წყალს ჩატუმბავენ. ამის შედეგად ნავთი ერთ გარკვეულ ადგილას გროვდება და ხერხდება მისი ამოღება. ეს მეთოდი იმით არის კარგი, რომ იკარგება საწვავის მხოლოდ 20 პროცენტი, ოთხმოცი კი ადამიანის განკარგულებაში გადადის. საქმე იმაშია, რომ ეს საშუალება ყოველთვის ერთნაირად არ შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამასთან, ნავთს ხშირად, უწყლო, უდაბურ ადგილებში იღებენ, სადაც წყალი თვით ნავთზე ძვირია. ამ პრობლემის გადაწყვეტისას დაიბადა თითქმის ფანტასტიური პროექტი, რომელიც წყლის შეცვლას ცეცხლით ითვალისწინებს.

ნავთის საწარმოებში გაჩენილი ხანძარი, საშინელ კატასტროფად ითვლება. ვისაც გახსოვთ ფრანგული ფილმი: «შიშის საფასურად», ამის შესახებ გარკვეული წარმოდგენა გექნებათ. ხდება ხოლმე რომ ასეთ ხანძარს წლების მანძილზე ვერ აქრობენ. აქ კი, კალიფორნიელი მეცნიერი სიმი, თვითონ ფიქრობს ხანძრის გაჩენას. და მერე სად? ნავთის საწარმების გულში. გვთავაზობს ცეცხლი გავუჩინოთ მილიონობით ტონა იმ ნავთს, რომელიც მიწის წიაღში დარჩა. რა სარგებლობას მოიტანს ასეთი უცნაური მეთოდი? სიმი ამბობს, რომ თუმცა მიწისქვეშა ხანძარი მართლაც გაანადგურებს ნავთის დიდ ნაწილს, სამაგიეროდ სიცხე შეკრავს ქანებს და დარჩენილ ნავთს ერთ ადგილას მოუყრის თავსო. სიმი დარწმუნებულია, რომ მიწისქვეშა ხანძარი მთლიანად ადამიანზე იქნება დამოკიდებული, რადგან საკმარისია შეწყდეს ჭაბურღილით ჰაერის მიწოდება და ხანძარი თავისთავად ჩაქრება. მეცნიერი იმდენად იყო დარწმუნებული თავის მოსაზრებაში, რომ ამასწინათ კალიფორნიაში, მარიკოპის ახლოს გააჩინეს კიდევაც პირველი საცდელი ხანძარი.

ჰაერის ჩაშვების შემდეგ, სამ წუთში, მიწის წიაღში ხანძარმა იფეთქა. მალე მეზობელ სამ ჭაბურღილიდან ნავთის ნაკადმა იმატა.

ახლა დაკვირვება გრძელდება. მალე ელექტროსაანგარიშო მანქანებით გამოთვლიან თუ რამდენად ეკონომიურია ეს მეთოდი.

## ტომრები და რეზერვუარები პლასტმასისაგან

საუკუნეების მანძილზე ყოველგვარი სითხე, ხის, თიხის ან რკინის ჭურჭლებით გადააქვთ. მაგრამ ამ მასალებისაგან დამზადებულ ჭურჭელს თავისი ნაკლი აქვს. მინა ადვილად იმსხვრევა, რკინა იჟანგება, ხე ლპება. ახლა რძის, სპირტის და სიმქავეების გადასატანად სულ უფრო ხშირად იხმარება პლასტილინის ტომრები. ასეთი ტომრები ბევრად მსუბუქია ვიდრე მინის, ხის ან თიხის ჭურჭელი და ამასთან.



არ იჟანგება და არც ტყდება. ინგლისში განზრახული აქვთ ნავთის გადასატანად დაამზადონ ექვსასი ტონის ტევადობის პლასტილინის დიდი რეზერვუარები.

## ავტომობილი, გემი, ძუდი, მინისაგან მზადდება

თავისი მრავალი კარგი თვისების გამო მინას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჩეხოსლოვაკიის საწარმოთა ინჟინრებმა სათანადოდ შეაფასეს მისი შესაძლებლობანი და კარგახანია იგი მრეწველობის ერთ-ერთ წამყვან მასალად გადააქციეს. მინისაგან ახლა, იქ, ავტომობილის ძარებს, კატერებსა და მეშახტეთა ქუდებს ამზადებენ.

ცხადია რომ, ასეთი პროდუქციის დასამზადებლად ჩვეულებრივი მინა არ გამოდგება, მაგრამ ახლადმიღებულ მინას, სხვა თვისებასთან ერთად ერთი არაჩვეულებრივი თვისებაც გააჩნია: იგი არ ტყდება, რადგან თითქმის რეზინასავით დრეკადია.

# გულმოდგინედ ემზადეთ რესპუბლიკური შეკრებისათვის

მიიწურა პიონერული ზაფხული. მრავალმა თქვენგანმა განიცადა საბანაკო ცხოვრებისა და მშობლიურ მხარეში მოგზაურობის სიამოვნება, სადაცაა კვლავ დაუბრუნდებით და განახლებული ენერგიით შეუდგებით სწავლას — თქვენი უპირველესი მოვალეობის შესრულებას.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება სახელოვანი ლენინური კომკავშირის დაარსების 40 წლისთავი. ორმოცი წლის მანძილზე კომკავშირი მხარში უდგას ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მასთან ერთად ჰქედავს თქვენს ბედნიერ აწმყოსა და მომავალს, სწორედ ამიტომ ემზადება მთელი ჩვენი ქვეყანა ამ დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად.

დიდი ხანია ამ დღისათვის ემზადებით თქვენც, საქართველოს პიონერები და ოქტომბრელები. უკვე მრავალი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება მიეძღვნა კომკავშირის დაარსების ორმოცი წლისთავს. მრავალ რაზმსა და რაზმეულში ჩატარდა და ტარდება პიონერული შეკრებები, კარნავალები და ოლიმპიადები; ეწყობა ფიზკულტურული შეჯიბრებები და მხატვრული თვითშემოქმედების დათვალიერება, საფუძველი ეყრება ახალ პარკებსა და სკვერებს, მწვანდება და ლამაზდება სკოლის ეზოები და ქუჩები, საკოლმეურნეო მინდვრებზე გაისმის პიონერული ჯგუფების, რგოლებისა და რაზმების მხიარული სიმღერები; ყოველივე ეს მიძღვნილია სახელოვანი იუბილარისადმი — კომკავშირისადმი.

კომკავშირის 40 წლისთავს მიეძღვნება საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური შეკრებაც, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში. სასახელო და საამაყოა იყო ამ შეკრების დელეგატი, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ პიონერთა ზეიმში. სერიოზული და მეტად საინტერესო მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ეს უფლება მოიპოვო, მაგრამ იგი თქვენს ძალღონეს არ აღემატება, ყოველ თქვენგანს შეუძლია გახდეს რესპუბლიკური შეკრების მონაწილე, მისი დელეგატი.

როგორია რესპუბლიკური შეკრების პროგრამა? როგორ ჩატარდება იგი?

შეკრების საზეიმო გახსნა განზრახულია 12 ოქტომბერს, კომუნარების ბაღში, საქართველოს კომკავშირის სახელოვანი შვილის ბორის ძნელაძის ძეგლთან. შეკრების გახსნისა და ალმის აღმართვის შემდეგ დელეგატები და დედაქალაქის ათასზე მეტი პიონერი საზეიმო მარშ-პარადით გაივლის რუსთაველის პროსპექტს. შეკრების პირველი დღე დიდი ლენინის ძეგლთან მოწყობილი მიტინგით დამთავრდება.

შეკრების ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება იქნება ხალამო თემაზე: „ჩვენს მზრუნველად პარტია გვყავს და გამზრდელად მისი შვილი“. აქ შეჯამდება კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერთა კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობა. მოეწყობა პიონერების ლაშქრობებისა და ექსკურსიების შედეგად მოპოებული კომკავშირის შრომისა და ბრძოლის ამსახველი მასალების გამოფენა, სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი ცალკეული პიონერების, რგოლების, რაზმებისა და რაზმეულების ნამუშევრები, პატაკები და საჩუქრები კომკავშირისადმი.

შეკრების მონაწილენი საზეიმო შეხვედრას მოუწყობენ მხცოვან რევოლუციონერებს და ძველ კომკავშირულ მუშაკებს. შეხვედრაზე ნაჩვენები იქნება ყოველივე ის, რასაც პიონერები გააკეთებენ რაიონის, ქალაქის, ოლქის კომკავშირის ისტორიის შესწავლისათვის, პირველი კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი მუშაობის გაცნობისათვის.

შეკრების ბოლო დღეს აგიზგიზდება კომკავშირის 40 წლისთავის აღმნიშვნელი 40 კოცონი, რომელთა გარშემოც შეკრების დელეგატები მხატვრული თვითმოქმედების სახით აჩვენებენ თავიანთ ნიჭსა და უნარს. რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პიონერთა წარმომადგენლები, რაც კიდევ უფრო წარმტაცსა და საინტერესოს გახდის ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა ზეიმს.

როგორც ხედავთ, რესპუბლიკის პიონერთა შეკრებას მრავალფეროვანი პროგრამა აქვს. მაგრამ მისი ხარისხიანად შესრულება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებით თქვენ ამ შეკრებისათვის, როგორ გაშლით მუშაობას თქვენს რგოლებსა და რაზმებში შეკრების დებულებით გათვალისწინებული საკითხების მოსამზადებლად.

პიონერთა რესპუბლიკური შეკრების ჩატარებამდე ყოველი პიონერული რაზმი და რაზმეული ატარებს კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო შეკრებას, რომელზედაც სარაიონო, საქალაქო შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად აირჩევენ საუკეთესო პიონერებს, პიონერულ რგოლს ან მთელ რაზმს. ხოლო საქალაქო და სარაიონო შეკრებაზე არჩეული იქნებიან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი 6 — 8 პიონერის შემადგენლობით.

როგორც იცით, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციამ შექმნა წითელი ლაშქარი. ამ ლაშქრის წევრები ბევრი სასარგებლო წამოწყების მოთავენი არიან. საუკეთესონი მათ შორის, რესპუბლიკური შტაბის გადაწყვეტილებით, მოწვეული იქნებიან შეკრებაში მონაწი ეობის მის ლებად.

რე უბლიკური შეკრების გახსნამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო და თქვენც დიდი შესაძლებლობა გაქვთ სასახელო პიონერული საქმეებით მონაწილეობა მიიღოთ მის ჩატარებაში.

მაშ, ყოველდღიურად და საქმიანად ემზადეთ თქვენი აღმზრდელი კომკავშირის საიუბილეო დღესასწაულისათვის, ნორჩო ლენინელებო!

გ. ვარდოსანიძე,
საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## ბუზები რომ გამრავლდეს...

განთქმულმა შვედმა მეცნიერმა ლინეიმ ერთხელ თქვა: სამ ბუზს ცხენის მძორის შეჭმა ლომზე სწრაფად შეუძლიაო. ეს ერთი შეხედვით უცნაური აზრი დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ ბუზები საოცრად სწრაფად მრავლდებიან. დაუშვათ, რომ 16 აპრილს ბუზმა დადო 120 კვერცხი, პირველ მაისს მისგან 120 ბუზი გამოიჩეკება ასე, ყოველ ორ კვირაში თვითოეული ბუზი 120 შთამომავალს იძლევა, ასე რომ, სექტემბრისათვის ერთი მწერის შთამომავლობა 559972700000 მიაღწევს. მაგრამ ეს ციფრი შეიძლება ოთხჯერ გავზარდოთ, რადგან აქ არ გვიანგარიშია, რომ თითოეული ბუზი ზაფხულის განმავლობაში არა ერთხელ, არამედ ოთხჯერ დებს კვერცხს.

ცხადია ასეთ გამოანგარიშებას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბუზების დიდი ნაწილი საბედნიეროდ გამრავლებამდე იღუპება.

* * *

ერთი დღის განმავლობაში სრული უმოქმედობის დროსაც კი ადამიანი იმდენ სითბოს გამოჰყოფს, რაც ტონა წყალს ერთ გრადუსამდე გაათბობს, ან ორ ვედრო წყალს დუღილის ტემპერატურამდე აიყვანს.



## მონადირის ნაამბობი

მონადირემ ტყეში მელა შენიშნა, თოფი ჩამოიღო, მაგრამ სროლა ვერ მოასწრო, მელა ბუჩქებში მიიმალა. მისი გამოდევნება უძალლოდ უიმედო იყო, ამიტომ გადაწყვიტა ხერხისათვის მიემართა: მან ივარაუდა, რომ მელა მდინარის სათავისაკენ, ხშირ ბუჩქნარებს მიაშურებდა. მდინარე ამ მიდამოებში ორ კილომეტრზე რკალისებურად მიედინებოდა, მონადირეს კი შეეძლო ეს გზა პირდაპირ გადაეჭრა და სათავემდე მხოლოდ ნახევარი კილომეტრი გზა გაევლო. ასე რომ, უყელებდა კიდეც მელას და წინასწარაც ჩაუსაფრდებოდა.

მან რამდენიმე მანძილზე კვალდაკვალ მისდია მელას და თხელიანში გავიდა. გაიხედა და თვალს არ დაუჯერა: მელა თოვლში იქექებოდა, თაგვებს ეძებდა და თითქოს არც კი გრძნობდა მონადირის სიახლოვეს.

მონადირე თითქმის ზედ მიადგა ნადირს, ძელამ მხოლოდ ოდნავ გადაინაცვლა ადგილი და კვლავ თავის საქმეს შეუდგა.

— რა უცნაური ცხოველია:—გაიფიქრა მან.— ეს-ეს არის მელიების წესისამებრ მემალებოდა, ახლა კი თითქოს განგებ მიდგება წინ. მონადირემ თოფი შეაყენა. აგერ, უნდა ესროლოს კიდეც, მაგრამ უცებ თითქოს აუცილებელი რაღაც გაახსენდაო, შეჩერდა.

შემართული თოფი ხელში გაეყინა. ცდილობდა, მოეგონებინა რა იყო ასეთი? წამით გვერდზე გაიხედა და აი, თურმე რა ყოფილა! სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი! აგერ ბოძიც აბრით, რომელიც მას უეცრად დაავიწყდა.

მაშინღა მიხვდა მონადირე მელიის უცნაურ ოინბაზობას. ეტყობოდა, მელა მრავალჯერ გამოსცილებია ნაკრძალის საზღვარს საჭმლის საშოვნელად და მრავალჯერ გადურჩენია თავისი ტყავი მონადირის ტყვიისაგან. აქედან გამომუშავებია მას რეფლექსი, რომ გარკვეული ხაზის იქით ხალხი საშიში აღარ არის.

მონადირემ ისევ მხარზე გადაიკიდა თოფი და მწარე სიცილი ტუჩებზე შეეყინა.

## კიდევ ერთი პრობლემა

ვინმემ რომ გითხრას: დამისახელე მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიო, ალბათ დაუყონებლივ ევერესტს დაასახელებ. მაგრამ 8.882 მეტრი სიმაღლის ევერესტის პირველობის შესახებ, ესოდენ გავრცელებული მოსაზრება დღეს ეჭვქვეშ არის დაყენებული.

როგორც ინდოეთის გაზეთები წერენ, არის ცნობები, თითქოს ჩრდილოეთ ტიბეტის მთის მასივებში აღმოაჩინეს მწვერვალი სახელად მაშინ-კორნი, რომელიც სიმაღლით ბევრად აღემატება ევერესტს. ამბობენ, ეს ადგილი ძალზე მიუვალია და მთის ძირამდე მისასვლელად რამდენიმე წელია საჭიროო.

მაგრამ ევერესტს მარტო ეს კონკურენტი როდი ჰყავს. მეცნიერები ფიქრობენ, ანტარქტიკის რამდენიმე მწვერვალი ევერესტზე მაღალი შეიძლება იყოსო.

ასე რომ, მეცნიერების წინაშე კიდევ ერთი გადასაწყვეტი პრობლემა გაჩნდა.

## მოხეტიალე ჭიანჭველები

სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში სხვადასხვა ჯიშის, ათასგვარი ჭიანჭველა ბუდობს. მათგან ძალზე საინტერესოა ეგრეთწოდებული მოხეტიალე ჭიანჭველები, რომლებიც ჯოგებად დაეხეტებიან და თავიანთ გზაზე ნთქავენ ყველაფერს. თუ გზაზე ადამიანის საცხოვრებელი დახვდათ, უმჯობესია მობინადრემ მაშინვე დასტოვოს იგი, რადგან არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ჭიანჭველების შეჩერება; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ გამოჩენას ერთგვარად კარგი შედეგიც მოაქვს: შენობაში არ რჩება არც ერთი ბაღლინჯო, ხოჭო, რვაფეხა ან მორიელი. თავიანთი ლაშქრობის დროს ჭიანჭველები ამჟღავნებენ საოცარ სტრატეგიულ ნიჭს, გეგონებათ, მოქმედების ყოველი დეტალი საგანგებოდ დაუმუშავებიათო.

აი, რას ჰყვება ერთი მოგზაური: «ერთხელ, ტყეში, ჭიანჭველების დიდი მასა შევამჩნიე მათ თავისებური ცოცხალი წრე შეეკრათ, რომელიც ცენტრისაკენ ვიწროვდებოდა. ახლოს რომ მივედი, საოცარი სურათი დავინახე: წრის ცენტრში დიდი გველი იწვა. ჭიანჭველებს კი მის გარშემო წრე შეეკრათ. მალე ისინი დაესიენ კიდევაც მძინარე გველს. გველი გაშმაგდა, დაიკლაკნა, მაგრამ ჭიანჭველების სულ ახალი და ახალი ხროვა დაესია, წრის ცენტრი ცოცხალ ბურთს დაემსგავსა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჭიანჭველები დაიშალნენ და ნამორზე მხოლოდ გველის ჩონჩხიღა დარჩა.



## მხატვარი ზღვის ფსკერზე

ბევრი მხატვარი—მოგზაური, ალპინისტი ან ტურისტი ხდება. პალიტრით ხელში ისინი დედამიწის მიუვალ ადგილებს აღწევენ; შედიან ამაზონკის ჯუნგლებში, ადიან ტიბეტის მაღალ მთებზე. მაგრამ მხატვარი რომ თავისი ნებით ზღვის ფსკერზე ჩასულიყოს— ასეთი რამ აქამდე არავის გაუგონია. ახლა კი ერთ მხატვარს ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე მოუკალათებია და იქ ხატავს თურმე სურათს. ამისათვის მას მოუმზადებია სპეციალური საღებავი, რომელსაც ზღვის წყალი ვერ აზიანებს და მსუბუქი საყვინთავი მოწყობილობა.



# ცოცხალი ნაღმი



მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინ ინგლისის სამხედრო გემი „ბარბარა“ თავის მორიგ რეისს გადიოდა ატლანტიკაზე. მოულოდნელად მოთვალთვალის შეშფოთებული ხმა გაისმა: „ტორპედო! მარცხენა მხრიდან ტორპედო გვიახლოვდება!“ წამიც და... გამაყრუებელი აფეთქების ნაცვლად ტანკერი მაგრად შეინჯღრა, გემის ქიმთან წყალი აქაფდა...

გამოირკვა, რომ ტანკერზე უზარმაზარმა შიმშერმა მიიტანა იერიში, ვეებერთელა თევზის მეტრნახევრიანი მახვილი ისე შეიჭრა ფოლადით დაფარული გემის კორპუსში, როგორც დანა კარაქში. მტაცებელმა მეორედ მიიტანა იერიში ტანკერზე. ამჯერად მისმა მახვილმა გემი მეორე ადგილას შეანგრია, მაგრამ აქ მანაც განიცადა მარცხი; მისი ვეებერთელა მახვილი შუაზე გადატყდა, ერთ-ერთმა მეზღვაურმა დრო იხელთა, მოხერხებულად წამოაგო მის კუდზე მარყუჟი და მტაცებელი გემზე აათრიეს. თევზის სიგრძე გადატეხილ მახვილამდე 5 მეტრი და 28 სანტიმეტრი იყო, ხოლო თვით მახვილი—1 მეტრი და 54 სანტიმეტრი.

ზღვის ბინადართა შორის შიმშერი ყველაზე საინტერესო მტაცებელია. მისი მასიური, გვერდებში შებრტყელებული სხეული, საოცრადაა შეგუებული წყალში ცურვას. მტაცებელს ზურგზე ორი ფარფლი აქვს; ერთი მათგანი მოგრძო და წვეტიანია. კუდის ფარფლი ნახევარ მთვარეს მოგვაგონებს. გამოანგარიშებულია, რომ როცა შიმშერი იერიშზე მიდის, მისი სისწრაფე საათში 70 მილს აღწევს. საზღვაო მილი 1700 მეტრს უდრის.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ვეებერთელა მტაცებელი მხოლოდ წვრილი თევზებით იკვებება. გაშლილ ზღვაში ხშირად შეიძლება ნახოთ შიმშერის ეგრეთწოდებული „სასიკვდილო ცეკვა“ ვეებერთელა მტაცებელი ამ დროს სწრაფად შეიჭრება ხოლმე წვრილი თევზების ქარავანში, შემდეგ მოსწყდება წყლის ზედაპირს და თავისი მასიური ტანის წყალზე დაცემით აბრუებს პატარა თევზებს, რამდენიმე ასეთი ნახტომის შემდეგ ისევ ჩაეშვება წყალში და თავისი მახვილით უმოწყალოდ ჟლეტს თევზებს.

დღემდე გამოურკვეველია თუ რატომ ესხმის თავს შიმშერი გემებსა და ვეშაპებს. არის შემთხვევები, როცა იგი ზვიგენებთან ერთად ვეშაპს ესხმის. როცა ზვიგენები თავის სამსხვერპლოს დაეწევიან და შეუბრალებლად გლეჯენ მისი სხეულიდან ხორცის ნაჭრებს, ამ დროს შიმშერი ელვისებური სისწრაფით ეძგერება ხოლმე ვეშაპს და სასიკვდილოდ განგმირავს მას. შემდეგ კი მიატოვებს, და იქაურობას გაშორდება ისე, რომ „გასამრჯელოსაც“ არ მოითხოვს.

შიმშერის გემზე თავდასხმის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია. მსგავსი შემთხვევა 1944 წელს აფრიკის სანაპიროებზე მოხდა. შიმშერმა მეთევზეთა ნავის ორივე მხარე გახვრიტა, ჰაერში აიტაცა და თვალის დახამხამებაში ორი მეთევზეცა და ნავიც წყლის სიღრმეში შეითრია. და განა მარტო სამრეწველო ნავებს უქმნის საფრთხეს ეს ვეებერთელა თევზი, იგი ასევე საშიშია დიდი გემებისთვისაც. 1948 წლის მიწურულში ამერიკის ოთხანძიანი გემი „ელიზაბეტი“ ბოსტონს უახლოვდებოდა, მასზე იერიში მიიტანა უზარმაზარმა შიმშერმა, მტაცებელი ღრმად შეიჭრა გემის კორპუსში და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მას.

## ინგლისური იუმორი

### ეშმაკი მოხუცი

ერთმა მოხუცმა ქუჩაში შილინგი იპოვა. მეორე კაცმა, რომელმაც ეს დაინახა, უთხრა;

— მომეცი ჩემი ფული, ეგ მე დავკარგე ამ ხუთი წუთის წინ.

— თქვენი ფული გახვრეტილი იყო?—დაეკითხა მოხუცი.

— დიახ,—დაუდასტურა მან.

— ჰოო, მაშ ეს თქვენი არ ყოფილა, ამას ნახვრეტი არა აქვს.

### კოლუმბი და კვერცხი

ესპანელი გრანდები კოლუმბს უმტკიცებდნენ, რომ ამერიკის აღმოჩენა ყველას შეეძლო. მაშინ კოლუმბმა აიღო კვერცხი და იკითხა, ვინ დააყენებს მას ბოლოთიო. ყველამ სცადა, მაგრამ ვერავინ შეძლო. მაშინ კოლუმბმა აიღო კვერცხი, მოატეხა ბოლო და დააყენა იგი.

— ეს ხომ ყველას შეეძლო?!
— დასძახეს აქეთ-იქიდინ

— დიახ! — უპასუხა კოლუმბმა ღიმილით, — ყველას შეეძლო, მაგრამ მხოლოდ მე გავაკეთე!

* * *

უფროსი ძმა: — აბა, რა მოგიტანო საჩუქრად?

უმცროსი ძმა: — ერთი კოლოფი კონფეტი.

უფროსი: — კიდევ რა?

უმცროსი: — მეორე კოლოფი კონფეტი.

უფროსი; — შენი პატარა მუცელი ვერ დაიტევს ამდენს.

უმცროსი: — მაშინ, მომიტანე მეორე მუცელი!

ინგლისურიდან თარგმნა
55-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
ვ. ჰკადუამ

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 8, 1958. Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 03619 ტირ. 14.000, ხელმოწერ. დასაბ. 26/VII-58 წ. სტამბის შეკვ. № 765, გამომც. შეკვ. № 337. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გასართობი

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი; 2. მდინარე უკრაინაში; 3. მოწყობილობა რადიომიმღებისათვის; 4. გეოგრაფიული რუკების კრებული; 6. აღმოსავლური პოეზიის ერთ-ერთი დიდი ლირიკოსი; 7. რაიონული ცენტრი საქართველოში; 14. ხვედრი, წილი; 15. სუბტროპიკული მცენარე; 17. დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი; 19. ეგ. ნინოშვილის ერთ-ერთი მოთხრობის გმირი; 20. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 21. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 22. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 24. ხის ჯიში; 29. ცისკარი, განთიადი; 30. გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი; 33. სახოტბო ლექსი; 34. რიცხვი.

**ჰორიზონტალურად:** 5. უმაღლესი სასწავლებელი; 8. ნაწარმოების მთავარი აზრი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. თევზის დასაჭერი ხელსაწყო; 11. ე. ზოლას ნაწარმოები; 12. შეჯიბრების დასაწყისი; 13. თოვლის ადამიანი; 16. მათემატიკური სახაზავი; 18. მთიანი მხარე სსრკ-ში; 20. სიგრძის ინგლისური საზომი; 22. საზეიმო პირობა; 23. ელექტროენერგიის ერთეული; 25. გეომეტრიული სხეული; 26. სოფელი საქართველოს და თურქეთის საზღვარზე; 27. გმირი ქალაქი; 28. ქართველი მთასვლელი; 31. ნელი ქარი; 32. ნ. ლომოურის ნაწარმოები; 35. ელექტროდენის აღძვრა ელექტროზირებული სხეულის მიახლოებით.

ჯ. აბაიშვილი

## გამოცანა

ხან სახლზე დიდი, ხან ციცქნა
ციცნათელაზე პატარა,
ხალხმა გაჩენის დღიდანვე
საიდან სად არ ატარა.
ხან მშვიდია და წყნარია,
ღუღუნებს აკვნის ბავშივით,

ხან ფიცხია და ჩქარია—
მძვინვარებს ფაფარაშლილი.
ყოველდღე კვდება და მაინც
მისი სიკვდილი ძნელია,
ყველა სახლის და კარავის
მუდმივი მასპინძელია!

მედეა კახიძე

## შარადა

შინაური ფრინველია,
ველურადაც იზრდება,
ხმელეთზე თუ ძლივს ბაჯბაჯებს,
ცურვით სულ არ იღლება.
თუ წინ ბგერას დაუმატებ,
სახელია ცხოველის,
სალ კლდეებზე რომ ბინადრობს,
დგას და პასუხს მოელის.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი „პიონერის" № 7-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „კროსვორდზე"

**ჰორიზონტალურად:** 1. კურზუ; 5. მიოსა; 7. ფარი; 8. რური; 9. იაპონია; 12. გუდაუთა; 15. ფაი; 16. ონი; 19. ავსტრია; 21. არტერია; 24. ილია; 25. ტიტა; 26. ლურიო; 27. ალაფი.

**ვერტიკალურად:** 1. კუმისი; 2. რიონი; 3. ურარტუ; 4. კალო; 6. დრდა; 9. იალტა; 10. პაი; 11. ატიკა; 12. გროზა; 13. უდა; 14. არმია; 17. ატილა; 18. ლეიტა; 20. იტალია; 22. როტორი; 23. სირია.

### პასუხი „გამოცანაზე"

მთვარე და ვარსკვლავები.

**პასუხი ამოცანაზე — „100 კაპიკად 100 ნივთი"**

გიამ 46 კაპიკად შეიძინა 92 ცალი კალამი; 24 კაპიკად 6 ფანქარი და 30 კაპიკად **2** რვეული.



ელექტრონული ბიბლიოთეკა
62/206